ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 10 (1345)

30/III 5/IV, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქურდი ამას არ იზამდა...

გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ 18 მარტს სახალხო ფრონტისა და გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ოფისში მომხდარი აფეთქებიდან 10 საათის შემდეგ ბატონ ნოდარ ნათაძის მძღოლს სამმა შეიარაღებულმა პირმა იარაღის მუქარით წაართვა მანქანა.

მძღოლის თხოვნაზე, რომ მანქანა ნოდარ ნათაძეს ეკუთვნის და ნუ წამართმევთო, თავდამსხმელებმა უპასუხეს, — ვიცით და ამიტომაც უნდა წავართვათო.

ეს რომ უბრალო ბანდიტური აქტი არ იყო და კავშირი ჰქონდა დილით მომხდარ აფეთქებასთან, ფაქტიურად დადასტურდა.

ნ. ნათაძის მანქანა ამ დღეებში ნახეს ლისის ტბაზე. ბენზინი გადაუსხამთ და დაუწვავთ. მანქანა არ არის გაძარცული. სალონიდან არ მოუხსნიათ არათუ ახალი სავარძლები, თვით მაგნიტოფონიც კი.

## ჩერნობილის რეციდივები გორში

საქართველოში კომუნისტების მმართველობის მიმწუხრისას, გორის ხორცკომბინატის მაცივარში შემოტანილ იქნა 400 ტონა რადიაციული ხორცი. ეს ფაქტი გამოააშკარავა გორის რეგიონულმა სახალხო ფრონტმა და განგაშის ზარები ჩამოჰკრა.

ამ ამბის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი საჩივარი თუ საპროტესტო წერილიც თან წაიყოლა. ამ ხნის მანძილზე საქართველოში ბარემ ხუთი ხელისუფლება გამოიცვალა — გორის ხორცკომბინატთან დაკავშირებული პრობლემა კი ბოლომდე ვერ იქნა მოგვარებული. მართალია, რადიაციული ხორცი დამარხეს, მაგრამ მაცივარი, სადაც ხორცი ინახებოდა, კვლავ დაუსუფთავებელ-დაუმუშავებელია.

აი, რა გვიამბო გორის სამშობიაროს ექიმმა, სახალხო ფრონტის წევრმა ლუიზა გულიანიძემ — რადიაციამ მაშინვე გამოჟონა, როცა ხორცი ინახებოდა იქ. მართალია, მაცივარი დაკეტილია, მაგრამ რადიაციის კერა რჩება. შეინიშნება რადიაციის რეციდივები მოსახლეობაში. მაგალითად, ანემია, სისხლნაკლულობა. მშობიარე ქალების ნახევარი დაავადებულია ანემიით, დედების უმრავლესობას არა აქვს რძე. საჭიროა სასწრაფოდ ჩატარდეს ქიმიური მოკვლევა და გაიწმინდოს მაცივარი. ამის თაობაზე ჩვენ არაერთგზის მივმართეთ ზემდგომ, კომპეტენტურ ინსტანციებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით რეაგირება არ ჩანს, არადა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაწმენდილი გორის ხორცკომბინატის დაბინძურებული მაცივარი.

**კოკა ლიკლიკაძე**

## საქართველოს დელეგაცია ნატოში

# ნატოს ჯარებს ნუ დაველოდებით

**შაბათს ბრიუსელიდან, ნატოს შტაბბინაში ერთკვირიანი ვიზიტის შემდეგ დაბრუნდა საქართველოს დელეგაცია. ჩვენი კორესპონდენტი თბილისის აეროპორტში შეხვდა დელეგაციის ხელმძღვანელს ბატონ ნოდარ ნათაძეს და სთხოვა შთაბეჭდილებები გაეზიარებინა.**

— ბრიუსელში გავემგზავრეთ ნატოს მიწვევით და მათივე ხარჯით. გამგზავრების ორგანიზატორი იყო თბილისის გერმანიის საელჩო, ვინაიდან იგი ითვლება დღეს საქართველოში ნატოს წარმომადგენლად.

თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ შთაბეჭდილება ძალიან დიდი იყო. უპირველესად იმან დაგვაფიქრა, რომ ვერ ვიყენებთ იმ ფართო შესაძლებლობებს, რომელიც ნატოს აქვს. არადა, ჩვენ აუარებელი ერთობლივი ამოცანები გვქონდა. ამასთან ერთობლივი ფუნქციები აწევთ ნატოსთან გაერთიანებულ თუ დაახლოებულ ქვეყნებს. ასეთად ითვლება საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილი რესპუბლიკა.

წელს ამოცანები უფრო მეტად გაფართოვდა, იგი პირველად შეასრულებს არა მარტო გამშველებლის, არამედ სიტუაციის მარეგულირებლის როლსაც. კერძოდ, ნატო განახორციელებს გარკვეული ტერიტორიის, სივრცის კონტროლსაც. ეს კი ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ამასთან ეს კონტროლი ვრცელდება არა მარტო ნატოში შემავალ ქვეყნებზე, არამედ უკლებლივ ყველგან სადაც დემოკრატიას საფრთხე ემუქრება. ამ მხრივ, ჩვენი ნატოსთან თანამშრომლობა, მომავალში გარკვეულ დადებით ნაყოფს გამოიღებს. ისე რომ, ჩვენი ვიზიტი იყო ძალიან სასარგებლო. ჩვენ პოზიციებს და სიძნელეებს გაგებით შეხვდნენ. მათთვის ნათელია ის ხიფათი, რომელიც ჩვენს ქვეყანას დასტრიალებს და მზად არიან ყველა ფორმით დაგვეხმარონ, იმ ფარგლებში რაც მათი დებულებებისათვის შეთავსებადია.

— ბატონო ნოდარ, კონკრეტულად ვისთან გქონდათ შეხვედრები?

— შევხვდი ნატოს გენერალურ მდივანს ბატონ ვერნერს. აგრეთვე მრავალ ჯგუფს, როგორც სამხედროებს ისე სამოქალაქოებს. მათ დეტალურად გამოგვკითხეს ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. სხვათაშორის, უნდა მოგახსენოთ, რომ ადეკვატურად მიიღეს ჩვენი ინფორმაცია აფხაზეთზე, ისე რომ იქ ომი რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარეობს.

— თქვენს ინფორმაციაში მათთვის რაიმე ახალი თუ იყო?

— ახალი მხოლოდ ის იყო, რომ მათ

გაგრძ[illegible]ება მე-3 გვ.



## პრესკონფერენცია ნატოში მივლინებული დელეგაციის წევრებთან

გუშინ, 29 მარტს, სახალხო ფრონტისა და „საქართველოს“ ოფისში ჩატარდა პრესკონფერენცია. წამყვანი გაზეთების წარმომადგენლები ესაუბრნენ ნატოში წარგზავნილი დელეგაციის ხელმძღვანელს ნოდარ ნათაძეს, წევრებს - პარლამენტარ თედო პაატაშვილს და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის წარმომადგენელს გია ჯანჯღავას. ჩვენი გაზეთი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, რის გამოც ვრცელ ინფორმაციას ვერ ვიძლევით.

დელეგაციის წევრები შედეგებით კმაყოფილნი დაბრუნდნენ. საქართველოს გზა ეხსნება ნატოსაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეეწიენ მებრძოლებს და მათ ოჯახებს

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში მებრძოლნი და მათი ოჯახები მთელი საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებასა და თანადგომას საჭიროებენ. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ჯარისკაცი ერთიორად უფრო გულადად იბრძვის, თუ ზურგში დარჩენილი ოჯახი ჯანმრთელად და მაძღრად ეგულება.

მიუხედავად უკიდურესად მძიმე ეკონომიკური ვითარებისა, საქართველოში მრავლად არიან ღვთისნიერი ადამიანები, რომლებიც უშურველად ეხმარებიან ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლთ და მათ ოჯახებს. მათ შორისაა რუსთავის რეგიონალური სახალხო ფრონტიც, რომელსაც საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი ზურაბ გოგია ხელმძღვანელობს. ყოფილი პოლიტპატიმრისა და ათასჭირგამოვლილი კაცისათვის უანგაროდ გაწეული დახმარება უცხო არ არის, ამიტომ მოკრძალებით გვიამბობს.

— რუსთავის დელეგაცია 9 მარტს გავფრინდით სოხუმს. მებრძოლებს ჩავუტანეთ 2 მილიონის სურსათი, სიგარეტები აგრეთვე აღდგენითი სამუშაოებისათვის აუცილებელი სამშენებლო მასალა.

უფრო ადრე იმ გვარდიელების ოჯახებს, რომლებიც სახალხო ფრონტიდან იბრძვიან აფხაზეთში, ჩვენი რუსთავის რეგიონული ორგანიზაციის ინიციატივით გავუკეთეთ ერთჯერადი მატერიალური და ფულადი დახმარება. ამ კეთილშობილ საქმეში გვერდში ამოგვიდგნენ და თავიანთი წვლილი (20 ათასი მანეთი) შეიტანეს რუსთავის ცემენტის ქარხანამ, № 1 სამშენებლო ტრესტმა, საწარმო გაერთიანება ქიმბოჭკომ, მეტალურგიულმა ქარხანამ, აზოტმა, ამწემშენებელმა, ლითონკონსტრუქციებისა და ლუდისა და ხილეული წყლების ქარხნებმა. აქედან ორმა ორგანიზაციამ, მეტალურგიულმა ქარხანამ და აზოტმა, თანხის მაგივრად 40—45 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქტები შეიძინა. ეს დახმარება გაეწია ოთხ ოჯახს, რომელთა საერთო შ[illegible]მადგენლობაა 15 კაცი. თითოეულ სულზე [illegible]ნაწილდა 8000 მანეთი. აღსანიშნავია, რომ ბოგდან ბალაკაშვილს, ეროვნების ქისტს, სამი მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე ჰყავს და მას, როგორც მოხალისეს, ამ ხნის განმავლობაში კაპიკი არსაიდან აუღია. ამ ოჯახმა მიიღო 40000 მანეთი დახმარება და 20000 მანეთის ღირებულების პროდუქტი. დახმარება მიიღეს გარსევან ალავიძის, ნუგზარ რაზმაძის და დათო ბაგაევის ოჯახებმა. დღეს ეს ბიჭები კამართან იბრძვიან. ამას გარდა, ფრონტის წინა ხაზზე მდგომ რუსთავის 23-ე ბიგადის მებრძოლებს გავუგზავნეთ 30 ცალი ცხვრის ტყაპუჭი 20 ცალი დაბამბული ქურთუკი, 40000 ცალი სიგარეტი. ამ დღეებში განზრახული გვაქვს რუსთავის ბატალიონის მებრძოლ 60 გვარდიელის ოჯახს დავურიგოთ თითო ტომარა შაქრის ფხვნილი. ქველმოქმედება შემდგომშიც გაგრძელდება და ქალაქის ხელმძღვანელობა, ყველა საწარმო-დაწესებულება მზად არის ზრუნვა-ყურადღება არ მოაკლოს ჩვენი [illegible] აქედან წასული მებრძოლების ოჯახებს.

ს. იმერი

# საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტი, რომელიც [illegible]ველთვის იდგა ძმათა შორის შერიგებისა და [illegible]თიერთ კომპრომისების პოზიციაზე, მიესალ[illegible] დღევანდელი ხელისუფლებისა და ყოფილი [illegible]ეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული ფორ[illegible]ებების ხელმძღვანელთა, კერძოდ, ბატონების [illegible] კიტოვანისა და ვახტანგ (ლოთი) ქობალი[illegible] მიერ გადადგმულ ერთობლივ ნაბიჯებს ერის [illegible]რიტორიული მთლიანობის დაცვისათვის და [illegible]ოვნებს, რომ ასეთი თანამშრომლობა პოლი[illegible]ურად დაპირისპირებულ ძალებს შორის შე[illegible]ბელს გახდის მომავალში ერის გამთლიანე[illegible] კონსოლიდაციას ერთი საერთო მიზნის[illegible]ტად დამოუკიდებელი საქართველოს [illegible]ბისათვის.

[illegible]ამასთან, საქართველოს სახალხო ფრონტი [illegible]ების პროცესში შესაძლო უხეშ ჩარევასა [illegible] ჩაშლის მცდელობას დღეს არსებული [illegible]ერი პოლიტიკური ძალის მხრიდან მიიჩ[illegible]ნეული ინტერესების ღალატად.

[illegible]საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი.

# სიტყვა ახალგაზრდობას

აფხაზეთიდან თბილისში, ან საქართველოს სხვა კუთხეში ჩასული ადამიანი, თითქოს სხვა ქვეყანაში, სხვა რეალობაში მოხვდა. ვერა, ნამდვილად ვერ იგრძნობ ომის სუნთქვას თბილისში. არც ომის სიცივე და სიცარიელე ეტყობა ქუჩებს. ყოველდღიური, ერთფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობს დედაქალაქი. საკუთარი სიხარულითა და ტკივილებით.

ახალგაზრდებითაა სავსე თბილისის ქუჩები, ჩვენ ვესაუბრეთ რამდენიმე მათგანს.

პირველი შემხვედრი აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ჯამბულ ფოფხაძე.

**— რა აზრის ბრძანდებით საქართველოში შექმნილი დღევანდელი სიტუაციის შესახებ?**

— საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაცია ხალხს ჯერ კიდევ არ აქვს გათვითცნობიერებული. აფხაზეთში ომია. სამაჩაბლო ნახევრად დაკარგული. ეკონომიკური კრიზისი, თითქმის ყველა საწარმო დახურული, სოკოებივით ამოსული კომერციული „ბუტკები", ქუჩებში ანტისანიტარია. სახელმწიფო უძლურია მართოს საზოგადოება. შედეგი: მაქსიმუმამდე გაზრდილი დამნაშავეობა, პროსტიტუცია, ნარკომანია ყველაზე უფრო უხეში ფორმებით, თუ 4 თვის წინ...

**— როგორ, თქვენ იბრძოდით?**

— თქვენ წარმოიდგინეთ (ელიმება). ოღონდ ეს იყო ადრე, ისევ ვიმეორებ, მაშინ სხვაგვარად ვფიქრობდი. რაღაცის იმედიც მქონდა.

**— მოხალისედ წახვედით?**

— არა. გამიწვიეს. მე თავის დროზე ავღანეთში ვმსახურობდი და... აფხაზეთში გატარებულმა დღეებმა სულ სხვაგვარად დამანახეს ყველაფერი. 30 ავტომატისტი ვიყავით ტყეში. ეს იყო და ეს. ვესროდით ვილაცეებს და გვესროდნენ ისინიც. თქვენ ვერ წარმოიდგენთ ისეთ უთავბოლობას, რაც იქ იყო. შეიძლება არ დაიჯეროთ, ხშირად ეჭვიც კი მეპარებოდა, იცოდა თუ არა ვინმემ ჩვენი იმ ტყეში არსებობა. მიხვდით ალბათ ვისაც ვგულისხმობ, ვისაც უშუალოდ უნდა დავქვემდებარებოდით. არანაირი კავშირი ვინმესთან. ისე, კარგად ვიყავით, კარგად ვსვამდით და ვჭამდით და... რას? (ისევ ელიმება) ტყეში ღორს და ძროხას რა გამოლევდა. სწორად მიმიხვდით, ვისი იყო, არ ვკითხულობდით, რადგან სხვაგვარად შიმშილი გვემუქრებოდა. არ იფიქროთ, ამით თავის გამართლებას ვცდილობდე, რომ ლაჩრად არ ჩამთვალონ, რადგან უარს ვამბობ ომში წასვლაზე. არ წავალ მანამ, სანამ ბოლომდე ლობას, თეთრს დაერქმევა თეთრი და შავს შავი, მეც აუცილებლად წავალ, თუნდაც სიცოცხლის ფასად.

* * *

ზურაბ ჩომახიძე. ტექნიკური უნივერსიტეტი, V კურსი.

— სიტუაცია დღეს მეტად რთულია, რადგან ერთმანეთშია არეული ტყუილ-მართალი. ყველა პოლიტიკოსი, რომელიც დღეს საქართველოში მოღვაწეობს, არ არის ხალხისათვის თავდადებული. უმეტესობა საკუთარ თავზე უფრო მეტს ფიქრობს. ომს რაც შეეხება, ჩემი აზრით, ესაა ხელოვნურად შექმნილი ომი. ეს არ არის ქართველი ხალხის ომი აფხაზ ხალხთან. ეს არც ქართველების ომია რუსეთთან. ეს არის ექსტრემისტებისა და პოლიტიკოსების ბინძური ომი. უბრალო რუსი ხალხი ჩვენ აფხაზეთს არ წაგვართმევს. აფხაზეთს წაგვართმევს რუსეთის რეაქციული ნაწილი. ომში წასვლას რაც შეეხება, თუკი აუცილებელი გახდება, უსათუოდ წავალ. მიუხედავად არსებული ვითარებისა, საქართველოსთვის წავალ.

ა.თ. — ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი. — ჯარში არ ვყოფილვარ, იარაღის ხმარებაც კი არ ვიცი. სკოლის მერხიდან პირდაპირ ინსტიტუტში მოვედი, ისე, ვინც წასულია, იარაღით

# ზოგნი სამშობლოს იცავენ, ზოგნი თეორიულად „ასაბუთებენ", თუ რატომ არ იბრძვიან საკუთარი მამულისათვის...

შეიძლება კომერციას უწოდოს კორუმპირებული, ვიტყოდი, საქართველოს ტერიტორიაზე, სახელმწიფო ხარჯებით შემოტანილი დიდი რაოდენობით ენერგო რესურსები, პროდუქტი თუ სამრეწველო საქონელი ხვდება „ელიტის" ხელში (ვისაც დიდი ფული აქვს) მათზე არ მუშაობს საგადასახადო ინსპექცია, ესეც ერთ-ერთი წინაპირობაა იმისა, რომ ბიუჯეტი იყოს ცარიელი. აუცილებელია სახელმწიფო იძულების აპარატის გაძლიერება. უნდა აღიკვეთოს ყველა არამართლზომიერი ქცევა, განურჩევლად იმისა, თანამდებობის პირია იგი, თუ უბრალო მოქალაქე. კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. მოკლედ, თუ მაფიას კისერი არ მოეგრიხა...

**— დღეს ომია საქართველოში, მაგრამ კონფლიქტის ზონის გარდა არსად იგრძნობა, რომ ომია. იქ ჩვენი თანატოლები ყოველდღე სიკვდილის პირას დგებიან, აქ კი ჩვენ კაფეებსა და რესტორნებში „ვიქარვებთ გულის დარდებს". თქვენ არასდროს გაგჩენიათ სურვილი, წასულიყავით ომში?**

— დიახ, გამჩენია. რატომ არ წავედი? იმიტომ, რომ არ არის გამოკვეთილი პოზიცია, არ არის საომარი მოქმედების გეგმა. არის არაორგანიზებულობა და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ერთმანეთს ხელსაც კი უშლიან. ომისათვის აუცილებელია, იყოს ერთმმართველობა. ერთის ბრძანება და მერე მისი მეორისაგან უარყოფა არ არის გამართლებული, რაც ხშირად ხდება და თავისთავად დამღუპველია. მაგალითისათვის გაგრაც კმარა: ჩვენ გვეომება რუსი, მისი სისხლზე დაგეშილი რეგულარული ჯარი. და ჩვენი მხრიდანაც მეტი მომზადებაა საჭირო, ფიზიკური იქნება ეს, თუ ტაქტიკური.

* * *

გოჩა ჩ. — დავამთავრე თბილისის უნივერსიტეტი. მყავს ცოლი და პატარა გოგონა. დღეს საქართველოში არის საშინელი სიტუაცია. ჩვენ ვიღუპებით, ქართველი ერი იღუპება და ვერ ვგრძნობთ. შეიძლება ვგრძნობთ კიდეც. მაგრამ ყველა საკუთარ თავს უფრთხილდება და ჩუმადაა. ხალხის სახელით ვერ ვიტყვი, მაგრამ მე პირადად არ მჯერა ჩვენი მთავრობის და აღარც რაიმეს იმედი მაქვს. მათი სიტყვა და საქმე ძლიერ სცილდება ერთმანეთს. ესენი ომს ვერ მოუგაგებინებენ. მათ შეგნებულად თუ შეუგნებლად მიჰყავთ საქართველო დაღუპვისაკენ.

**— აქედან გამომდინარე, თქვენ, რა თქმა უნდა, უარს იტყვით ომში წასვლაზე.**

— დიახ, მაგრამ არა იმიტომ, რომ სიკვდილის მეშინია, ან სხვაზე ნაკლებად მიყვარს საქართველო, უბრალოდ უაზროდ მიმაჩნია ასე თავის გაწირვა. მე ჩემი სიცოცხლით უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ, ვიდრე იქ სიკვდილით. ამაში აფხაზეთში გატარებულმა 29 დღემაც დამარწმუნა, მაგრამ ეს იყო ადრე, არ მოელება იქ არაორგანიზებულობას და კიდევ ათას უმთავრეს პრობლემას. და სანამ ბოლოსდაბოლოს მართლა არ გაირკვევა, რა ხდება, ვის სჭირდება ამდენი ახალგაზრდის სიკვდილი და რატომ. მეტსაც გეტყოდით, ჩვენი ქვეყნისა და მთავრობის დემოკრატიულობა რომ მჯეროდეს, მაგრამ... თუმცა რად გინდათ, თქვენ ხომ მაინც არ დაგიბეჭდავენ ამას, ამიტომ ჩემი გვარიც არაა საჭირო. თვითონვე მიხვდით. რატომ.

* * *

დავით კუპრეი[illegible]ილი. ბიზნესის ინსტიტუტი. საერთაშორის[illegible] სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

— დღევანდ[illegible] სიტუაცია? ძალიან მძიმე და რთული[illegible] [illegible] გარკვევა გაგიჭირდება. იმდენი ტყუილი და მართალი აირია ერთმანეთში. ომში წასვლას რაც შეეხება, წავიდოდი, ოღონდ აუცილებლად მეგობრებთან ერთად. რატომ? და მხოლოდ მათ ვენდობი. რა გარანტია მაქვს, რომ ზურგიდან არ მესვრის ჩემივე „ძმა". ისე, 6 თვის წინ მივაკითხეთ კომისარიატს ჩვენი ეზოს ბიჭებმა, მაგრამ მაშინ უარით გამოგვისტუმრეს. იარაღი არ გვაქვსო, თქვენი წასვლა არაა აუცილებელი, თქვენ საქართველოს გენოფონდი ხართო. ისე, თუ წავალ, დაჭრილების გამოსაყვანად. იარაღის ხმარება მე არ ვიცი და სხვა იქ რა უნდა გავაკეთო. ისე, უფრო იქაურებმა უნდა იბრძოლონ. ისინი კი გამორბიან და თბილისში კომერციულებს ხსნიან. იქიდან ჩამოსულებსაც საკმაოდ ვიცნობ. იარაღი ჩამოიტანეს და ახლა აქ თავს იწონებენ. იმისათვის, რომ იქიდან ძველი ბიჭის სახელით დავბრუნდე, არ წავალ.

* * *

გიორგი ხუჯაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

— ამ ომს ვთვლი უაზრო, ძმათამკვლელ ომად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს პოლიტიკურ გამჭრიახობაზე, ცოტა რამ არის დამოკიდებული. როგორც რუსეთს სურს, ისე წარიმართება მისი ბედი. დანარჩენი მსოფლიოს იმედი, თუნდაც გაეროსი, ნაკლებად მაქვს. ისინი ისე ძალიან არიან გართულები საკუთარი პრობლემებით, რომ ჩვენთვის ნაკლებად მოიცლიან, თუმცა ან როდის იწუხებდნენ თავს. გავიხსენოთ 1921 წელი, როცა მართლა ჰყავდა საქართველოს კანონიერი, დემოკრატიული ხელისუფლება, რითი დაგვეხმარა მსოფლიო? რა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა მის დასაცავად? თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ რუსეთი სულაც არ იყო ისეთი ძლიერი, ხოლო დღეს უზარმაზარ საბრძოლო არსენალს ფლობს, მათთვის უმნიშვნელო საქართველოსათვის არავინ არ გაირთულებს მასთან ურთიერთობას. ისე კი, თუკი გამოცხადდება საყოველთაო მობილიზაცია, თუკი ბოლოს მოეღება ტყუილებსა და უსამართ- მათაც ვერ ამარაგებენ. აბა, შიშველი ხელებით ხომ ვერ შევებრძოლები რუსის ჯარს. თუ წავალ, აუცილებლად ახლობლებთან ერთად. ასე უფრო იოლია. ახლობელი გაგიგებს და გაგიტანს.

ბ.გ. — იმიტომ არ მივდივარ ფრონტზე, რომ იქ შექმნილია საზიზღარი სიტუაცია. უმართავია ყველა პროცესი. და არ მინდა ამ ქაოსში დავიღუპო ისე, რომ არ ვიცოდე, რუსს ვებრძვი თუ აფხაზს.

დ.გ. — მე მებრძოლად არ ვარ დაბადებული, ადამიანს ვერ ვესვრი.

* * *

გიორგი ჭუმბურიძე, ირაკლი წურწუმია, ნიკა ხარაძე, ლადო წიქარიშვილი, ზურა ტუღუში. — სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები.

— "უაზროა ეს ომი, თავს მოხვეული, თუ რაც არის, მართლები ვართ თუ არა, იგი ჩვენი მოსაგები ომია. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. აი, ჩვენ უკვე მივდივართ იქ. სახლებიდან ვიპარებით და მივდივართ. არანაირი გამართლება არ შეიძლება ომში წაუსვლელობისა იმით, რომ ეს არაორგანიზებული ომია. არაფრით არ შეიძლება კაცს უთხრა, რატომ არ ხარ იქო. არ შეიძლება კაცის სინდისზე შეგდება. ძალით იქ წაყვანილი კაცი სიკეთეს ვერ მოგიტანს. რა ომიც არ უნდა იყოს, ჩვენი შეხედულება ერთია. ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ. არა მარტო როგორც მომავალმა ექიმებმა, არამედ, როგორც მებრძოლებმა, სამშობლოს ერთგულმა ჯარისკაცებმა. ჩვენ გვინდა საკუთარ თავთან ვიყოთ მართლები იმით, რომ უკიდურესი განსაცდელის ჟამს, საქართველოს გვერდით ვიდექით. დღევანდელი სიტუაცია არ არის უცხო საქართველოსათვის. იქ მეომრები აკლიათ," აქ კი ქუჩებში ტევა არაა. კრწანისის ბრძოლაში ერეკლეს 5000 მეომარი ჰყავდა, ხოლო მის დასატირებლად 40000 ქართველი ვაჟკაცი საომრად აღჭურვილი, საპატიო ჯარ-კრებულად ედგა ხელმწიფეს. სად იყო ეს 40000 მეომარი კრწანისის საბედისწერო ბრძოლის ჟამს?

ღმერთმა მშვიდობით დაგაბრუნოთ, ბიჭებო! ჩვენ გვჯერა თქვენი ვაჟკაცური, რაინდული ბუნებისა. ვიცით, რომ ვიდრე თქვენ იქნებით, იქნება საქართველოც.

მერე სევდანარევი სიხარულით ვბრუნდებოდით უკან. ნაადრევი გაზაფხულის სუსხი გონების დაბინდვისა და არსებული რეალობიდან წუთიერი გაცლის შესაძლებლობას არ იძლეოდა. თვალწინ ტრიალებდა უამრავი სახე. უამრავი სევდიანი, დაფიქრებული თვალი. და ისმოდა ერთმანეთში არეული, აუარება ხმა. ყველა ღიმილი, ყველა სევდა საქართველოს ეკუთვნოდა, მხოლოდ მას. მაგრამ ტკივილი ღრღნიდა გულს მაინც, ტკივილი, რადგან სამშობლოს სიყვარული ყველას თავისებურად

გაგრძელება მე-4 გვ.

# ნატოს ჯარებს ნუ დაველოდებით

## დასასრული

ჯლაფერი პირველი წყაროდან მოისმი-ეს. გარდა ამისა ჩვენ საკმაოდ მნიშვნე-ლოვანი ვიდეოფირები გვქონდა ჩატანი-ლი. თუმცა ბევრი ასევე მნიშვნელოვანი ა აუცილებელი ფირის წაღება ვერ მო-ერხდა. ფირები დროზე ვერ მომზადდა. რიუსელში ყველა დონეზე გვეკითხებო-ნენ – იცის თუ არა ელცინმა რუსეთის ამხედროთა მონაწილეობა აფხაზეთის მშიო. ჩვენი პასუხი ასეთი იყო: არის ეორიული შესაძლებლობა, რომ ეს ყვე-ლაფერი მისი ნების გარეშე ხდება, მაგრამ რაქტიკულად მართვის სისტემა არაა ისე ეზინტეგრირებული, რომ გენერლობის ოქმედებები სახელმწიფოს მეთაურის ირეშე ხდებოდეს. მათ აინტერესებდათ ერეთვე ჩვენი ურთიერთობის განვითა-რების პერსპექტივები. ჩვენი პოზიცია ასე ჩამოვაყალიბეთ: მომხრე ვართ გაიმარჯ-ოს ელცინის გუნდმა, ვინაიდან ეს უკეთე-სია მსოფლიოსათვის და ჩვენც ხომ მსო-ფლიოს ნაწილი ვართ. მაგრამ ვშიშობთ, რომ ელცინი კი დარჩება თავის ადგილზე, მაგრამ იმდენად დასუსტდება, რომ იძუ-ლებული გახდება მოწინააღმდეგეთა პო-ლიტიკა გაატაროს. სამწუხაროდ, ჩვენი პროგნოზი მართლდება და მალე ალბათ რეალობად იქცევა.

— რეგლამენტზე რას გვეტყვით?

— ძალიან გადატვირთული მუშაობა გვქონდა. ამის გამო ხან ერთად დავდიო-დით, ხანაც ცალ-ცალკე, რადგან ყველგან წასვლას ველარ ვასწრებდით.

— ბრიუსელიდან რა გამოგყვათ პე-სიმისტური და რა ოპტიმისტური?

— პესიმისტური ჩემთვის უპირველ-ესად ის იყო, რომ ნატოს შესაძლებლობე-ბი, გაგვიწიოს გარკვეული ტიპის დახმა-რება, რაც ჩვენთვის, ამ ეტაპზე, ძალიან მნიშვნელოვანია, შეზღუდულია — ეკრძა-ლებათ დებულების მიხედვით.რაც შეეხე-ბა ოპტიმისტურს, თუ ჩვენ ვივარგებთ, ამას ხაზს ვუსვამ, ნატოდან მივიღებთ მა-ქსიმალურ დახმარებას — შევქმნათ ჯან-საღი, პროფესიონალი ჯარი. ნატო მხარში ამოგვიდგება, რომ საამისოდ ეროვნული კადრები მომზადდეს. ამასთან ეს არცთუ ისე იოლად მოსაგვარებელი საქმეა; აუცილებელია შეიქმნას რამდენიმე კაცი-საგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მუდ-მივად ნატოში იტრიალებს. სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანას,ჯერჯერობით არა აქვს იმის საშუალება, რომ საამისოდ სხვები-ვით დიდი ხარჯები გავიღოთ. ამისათვის საჭიროა შევარჩიოთ ახალგაზრდა, ნიჭი-ერი, პატრიოტი და ენერგიული ადამიანე-ბი, რომლებიც არ ითაკილებენ სტუდენ-ტურად გარეუბნებში იცხოვრონ და ვე-ლოსიპედითაც კი იარონ დანიშნულების ადგილამდე.სხვანაირად ჩვენ ამ შტატს ვერ შევინახავთ.

— ბატონო ნოდარ, ჩვენში ბევრს და მათ შორის, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერსაც დიდი იმედი ჰქონ-და ნატოს ჯარების შემოსვლის...

— ეს იმედი ზღაპარია. სხვა საკი-თხია რომ ნატოს ჩვენთან ეყოლება მეთ-ვალყურეები

— ჯონი შალიკაშვილს თუ შეხვ-დით?

— სამწუხაროდ ვერა. იგი ბოლო დღეს უნდა გვენახა, მაგრამ გადაუდებელი საქმის გამო მას ბრიუსელიდან გამგზავ-რებამდე მოუწია...

— როგორი შთაბეჭდილება შევქმ-ნათ ჩვენი დელეგაციის შესახებ?

— ვფიქრობ, დადებითი აქვე ისიც ინდა ვთქვა რომ თვალსა და გულს უხაროდა რომ ნატოში პირველად გამოჩნდა ქარ-თულ ფორმიანი გენერალი ცქიტიშვილი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვა ქვეყნის სამხედროებს. ჩვენმა გენრა-ლმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა იმი-თაც, რომ პროფესიონალურ დონეზე ჩა-მოაყალიბა ბევრი სამხედრო კონცეფცია.

— კიდევ რა იყო ჩვენთვის მნიშვ-ნელოვანი?

— პირველ რიგში მათ აღელვებდათ რუსეთში მიმდინარე მოვლენები, რომე-ლსაც დიდი ხიფათის მოტანა შეუძლია. ჩვენზე მსჯელობისას კი ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ საქართველო გეოპოლი-ტიკური მდებარეობის გამო ნატოს მნიშ-ვნელოვანი პარტნიორია. ამას გარდა ჩვენ მათთვის იმითაც ვართ საინტერესო, რომ ერთ-ერთი იმ ქვეყანთაგანი ვართ, რომე-ლიც სოციალისტური არსებობის ორბი-ტიდან გადადის ადამიანური და ღირსეუ-ლი არსებობის ორბიტაზე.

— უახლოეს ხანში თუა დაგეგმილი ნატოს შტაბბინაში სტუმრობა?

— რასაკვირველია; ასეთი ვიზიტები იქნება მომდევნო თვეებშიც, მაგრამ ჩვენ გვირჩევნია, უფრო სწორად საქმისათვის ემჯობინება, იქ ჩვენმა მუდმივმა წარმო-მადგენლობამ იმოქმედოს. ამავე დროს შევთანხმდით, რომ ბრიუსელში გაემგზა-ვრება ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის უდუ-რად შევარდნაძე, საპასუხოვიზიტით კი გვეწვევა ნატოს გენერალური მდივანი ვე-რნერი. თუმცა თარიღი ჯერ არაა დადგე-ნილი.

ჩემი საუბრის დასასრულს მინდა და-ვუმატო, რომ ჩვენ ნატოს გარეშე ყოფნა არ შეგვიძლია. ამავე დროს საკმარისია მათ დაინახონ ჩვენი სისუსტე, ზერელეო-ბა, არაპროფესიონალიზმი, რომ დაიკარ-გება ჩვენდამი ინტერესი. ამიტომ მათთან საურთიერთობო კადრების შერჩევა უნდა მოხდეს განსაკუთრებული პასუხისმგებ-ლობით და სიფრთხილით და არა ისე ზერელედ, როგორც ეს ხშირად გვახასი-ათებს ქართველებს.

ესაუბრა ჯემალ კასრაძე



# სიმართლის თქმას ზოგჯერ ოპოზიციონერობას უწოდებენ

25 მარტს სახალხო ფრონტის გურჯაანის რეგიონული ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ჩატარდა სახალხო ფრონტის კახეთის რაიონული ორგანიზაციების გამგეობათა თავმჯდომარეების რეგიონული თათბირი, რომე-ლსაც ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ბატონი ლევან მესხი, სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი გოჩა გავაშელი, სახალხო ფრონტის დარბაზის წევრები ბატონები გიორგი სორდია, ზაზა ჩიქოვანი. გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, დედოფლის წყაროს გამგეობათა თავმჯდომარეები და გამგეობათა წევრები.

შეკრებაზე საუბარი წარიმართა სახალხო ფრონტის რაიონული ორგანიზაციების მუშაობის, სახალხო ფრონტის სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებების, სახალხო ფრონტის ყრი-ლობის მოსამზადებელი სამუშაოებისა და,რა თქმა უნდა, რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესახებ, იმ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე, აღნიშულ რაიონე-ბში რომ სუფევს. კონკრეტულად იქნა აღნიშნული მრავალი ფაქტი, რომელსაც რეგიონში შექმნილ უკანონობასა და უწესრიგობის მძიმე სურათს ასახავდნენ. კერძოდ, ითქვა, რომ დედოფლისწყარო-ში სამხედრო შესვლას მრავალი სამართლდარღვევა მოჰყვა, რამაც ხალხში უკმაყოფილება გამო-იწვია. ისინი ავიწროებდნენ აზერბაიჯანის მოსახლეობასაც, ძაბულობის ახალ კერას ქმნიდნენ. აღინიშნა, რომ უპატრონოდაა მიტოვებული რუსეთის მიერ დატოვებული სამხედრო აეროდრომი, სადაც დიდძალი ტექნიკაა. აეროდრომი იძარცვება, მაგრამ ასე დიდი ტერიტორიის გაკონტროლება შეუძლებელია.

საუბარი შეეხო სხვა მრავალ პრობლემასაც და სახალხო ფრონტის როლს მათ მოგვარებაში.

— ოპოზიციონერად არავინ დავბადებულვართ. სიმართლის თქმას ზოგჯერ ოპოზიციონერობას უწოდებენ. ხელისუფლებასთან დაპირისპირება ჩვენი თვითმიზანი არ უნდა იყოს. უბრალოდ, შევეცადოთ სიმართლე ვთქვათ, — აღნიშნა ბატონმა ლევან მესხმა. — ის უკანონობა, რაც ჩვენში ხდება, მთავრობის კაბინეტის ფორმირების საფუძველშივე დევს.

თათბირზე აგრეთვე ილაპარაკეს სსფ-ს ყრილობის მოსამზადებელ საკითხებზე.

სერგო ჯანაშია

# შეხვედრა გორში

27 მარტს ქალაქ გორში გაიმართა გორისა და ქართლის ზონის რეგიონული სახალხო ფრონტების ერთობლივი კონფერენციები, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე გოჩა გავაშელი, დარბაზის წევრი გოგი სორდია და საგარეჯოს რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარე გელა კევლიშვილი.

კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით წარსდგა გორის რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ბ-ნი რეზო ოქრუაშვილი. მან ისაუბრა სახალხო ფრონტის მუშაობაზე საანგარიშო პერიოდში. აღნიშნა, რომ მიუხედავად ორგანიზაციის დადებითი როლისა რეგიონში ეროვნული მოძრაობის აღორძინებაში, მუშაობის ფორმები და მეთოდები მნიშვნელოვნად შესაცვლელია. ორატორმა გააანალიზა გორში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია. უარყოფითად შეაფასა ადგილობრივი ხელმძღვანელობის საქმიანობა და დამსწრეთ გააცნო გორში მოქმედი 8 წამყვანი პოლიტიკური ორგანიზაციის საპროტესტო წერილის შინაარსი, რომელიც დაიბეჭდა სახალხო ფრონტის გაზეთ „ქართლში".

კამათში მონაწილეობდნენ გაზეთ „ქართლის" რედაქტორი მანანა ყორანაშვილი, გამგეობის წევრები ელდარ მამისთვალიშვილი, ლუიზა გულიანიძე, გიორგი მახარობლიძე, გელა დემეტრაშვილი და სხვები.

გამომსვლელებმა პრინციპული შეფასება მისცეს სახალხო ფრონტის მიერ გაწეულ მუშაობას. ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სტრუქტურული რეორგანიზაციის იდეას,ორგანიზაციაში ახალგაზრდობის მოზიდვას. აღშფოთებითა და გულისტკივილით ისაუბრეს რაიონში შექმნილ მძიმე სიტუაციაზე. მოსახლეობის სოციალურ დაუცველობაზე, ეკონომიკურ პრობლემებზე.

შემდგომ გაიმართა არჩევნები. გორის სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ბ-ნი რეზო ოქრუაშვილი. დამტკიცდა გამგეობის შემადგენლობა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ-ნმა გოჩა გავაშელმა

ქ. ლ.

# „პატარა ქალაქი სავსე სულიერებით"

ასეთი იყო ქუთაისი, არც თუ ისე დიდი ხნის წინ. და არა მარტო ქუთაისი. ძმათა-შორის შუღლმა და ეკონომი-კურმა სიდუხჭირემ კატასტრო-ფამდე მიიყვანა მთელი საქა-რთველო. როგორ უნდა დავა-ღწიოთ თავი ამ ტრაგიკულ ვითარებას, როგორ აღვადგი-ნოთ დანგრეული? ამ საჭირ-ბოროტო საკითხებზე იყო სა-უბარი 25 მარტს უნივერსიტე-ტის სააქტო დარბაზში. იმ დღეს ქალაქ ქუთაისის მერს ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილს თბილისში მცხოვრებ ქუთაის-ლებთან, ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლე-ბთან საქმიანი შეხვედრა ჰქო-ნდა.

მერმა დამსწრეთ გააცნო ქუთაისის აღორძინებისა და განახლების ფართომასშტაბია-ნი გეგმა. ისაუბრა იმ პრობ-ლემებზე, რომლებიც დგანან ქუთათურთა წინაშე, და რომ-ლებიც, იმავდროულად მთელი საქართველოს პრობლემები-ცაა.

დარბაზში შეკრებილმა სა-ზოგადოებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბატონ თეიმუ-რაზ შაშიაშვილის კეთილსა-სურველ და საინტერესო წა-მოწყებას.

მერის მიერ წარმო დგე-ნილი პროგრამა ჩვენი დღეე-ბის ფონზე, ერთი შეხედვით, განუხორციელებლად და უტო-პიურადაც ჩანს. ამიტომ, გასა-გებია იმ გამომსვლელთა აზ-რი, რომლებმაც ბატონ თეიმუ-რაზ შაშიაშვილის იდეებს, კა-რგი გაგებით, ზღაპრული უწო-დეს.

სასიხარულოა, რომ მაშინ, როცა საქართველოს ტოტალუ-რი ძარცვა, ნგრევა და გაჩა-ნაგება ხდება, საქართველოში არსებობენ აღმშენებლობის ჟი-ნით შეპყრობილი ადამიანები, რომლებსაც სიტყვასთან ერ-თად საქმის კეთებაც ხელე-წიფებათ.

კობა ლიკლიკაძე

**თუ ზნეობრიობის პრინციპით შევაფასებთ მას, მაშინ ყველა პოლიტიკოსი უზნეოდ უნდა გამოგვეცხადებინა, რადგან სფერო, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ, ძალადობას ემყარება, რაც მორალთან პრინციპულად შეუთავსებელია.**

# პოლიტიკა და ზნეობა

## წერილი მეხუთე

# ზნეობა და სამართლიანობა

ვახტანგ ერქომაიშვილი

ის, რომ პოლიტიკაში მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამოიყენება, ულავო ფაქტია. ამას ადასტურებს როგორც ისტორიული გამოცდილება, ისე თანამედროვე ცხოვრება. მაგრამ ერთია ფაქტი, ხოლო სხვა მისი შეფასება. დადებითად თუ უარყოფითად უნდა შევაფასოთ იგი? რასაკვირველია, უარყოფითად. ძალისმიერი, ე.ი. არაზნეობრივი საშუალებების გამოყენება უნდა დავგმოთ და გამოვრიცხოთ ადამიანთა ურთიერთობებიდან. მაგრამ შეუძლია კი სახელმწიფოს მათ გარეშე არსებობა? არა, არ შეუძლია. ეს ნიშნავს, რომ თვით სახელმწიფო გავაუქმოთ და მოვსპოთ, რადგან იგი ძალადობას ემყარება. სახელმწიფო ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ძალადატანებას ახორციელებს და მის გარეშე არ არსებობს. თუ სახელმწიფო საზოგადოებისთვის აუცილებელია, მაშინ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც აუცილებელია. გამოდის, რომ ბოროტების დაშვება და მასზე დამყარება გარდაუვალი ყოფილა საზოგადოების არსებობისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

კი, მაგრამ ზნეობა? — იკითხავს ალშფოთებული მკითხველი. მაშ რისთვის არსებობს იგი და რა ფუნქცია აკისრია მას საზოგადოებაში? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავითვალისწინოთ მორალის არსი, რაც წინა წერილებში დავახასიათეთ. სახელმწიფო არ არის ზნეობის სუბიექტი და მისი საქმიანობის შეფასება მორალურობა-ამორალურობის თვალსაზრისით არ შეიძლება. არ არსებობს ზნეობრივი ან უზნეო სახელმწიფო. იგი არაზნეობრივია იმ აზრით, რომ მისი მოღვაწეობის შეფასება აღნიშნული კატეგორიების მიღმაა. სახელმწიფო მორალზე მაღლა კი არ დგას, არამედ მის ნორმებსა და მოთხოვნებს არ ექვემდებარება.

ეს აზრი რომ ნათელვყოთ, დავაზუსტოთ ცნებები „არაზნეობრივი" და „უზნეო". ისინი არ ემთხვევა ერთმანეთს. უზნეო (ამორალური) ზნეობრივის (მორალურის) საპირისპიროა. პირველი ბოროტების, ხოლო მეორე — სიკეთის გამომხატველია. არაზნეობრივი (არამორალური) კი არც ერთ მათგანს არ გამოხატავს, ამიტომ მათ არ უპირისპირდება. იგი ისეთ მოვლენას ახასიათებს, რომელიც არც კეთილია და არც ბოროტი. მაგალითად, ბუნებას ხშირად უბედურება მოაქვს ადამიანისათვის — მიწისძვრის, წყალდიდობის, გრიგალის და ა.შ. დროს, მაგრამ მას, როგორც ბოროტ ძალას ვერ შევაფასებთ. ანალოგიურია ვითარება ცხოველების მიმართაც, რომელთა ქმედება ზოგჯერ ადამიანისათვის საზიანოა. ბუნება, ცხოველები და სხვა ზნეობრივი ან უზნეო კი არაა, არამედ საერთოდ არ ექვემდებარება მათ და მიეკუთვნება არაზნეობრივი რეალობის სფეროს.

შეიძლება მავანი დაეჭვდეს, რომ მოტანილი მაგალითები ეხება მოვლენებს, რომლებიც ცნობიერებისა და წინასწარგანზრახვის გარეშე მოქმედებენ. საზოგადოების სფეროში კი საქმიანობენ ადამიანები, კერძოდ, პოლიტიკოსები მართავენ. ბუნებრივად ისმება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია მათი ზნეობრიობის მიღმა დაყენება? ამით ხომ არ ვამართლებთ მათ ამორალურ ქცევას? ისტორია ხომ იცნობს მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეს — დიქტატორს თუ არადიქტატორს, რომელთაც სახელი გაითქვეს თავიანთი უზნეობით და თვითნებობით?

როდესაც პოლიტიკური მოღვაწის დადებით ან უარყოფით შეფასებას ვახდენთ, უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ზნეობრიობის, არამედ სამართლიანობის კრიტერიუმით: რამდენად სამართლიანი იყო იგი თავის მოქმედებაში. პოლიტიკოსი უნდა დავგმოთ და გავაკრიტიკოთ არა ზნეობრიობის, არამედ სამართლიანობის ნორმების და პრინციპების დარღვევისათვის. თუ ზნეობრიობის პრინციპით შევაფასებთ მას, მაშინ ყველა პოლიტიკოსი უზნეოდ უნდა გამოგვეცხადებინა, რადგან სფერო, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ, ძალადობას ემყარება, რაც მორალთან პრინციპულად შეუთავსებელია.

პოლიტიკის რეგულირება ხდება არა ზნეობრივი, არამედ სამართლებრივი პრინციპებით და ნორმებით. იგი სამართლის და არა ზნეობის სფეროა, ამიტომ შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო, მაგრამ არა ზნეობრივი ან უზნეო. შესაბამისად ითქმის პოლიტიკოსის შესახებაც.

ახლა გავარკვიოთ სამართლიანობისა და ზნეობის დამოკიდებულების საკითხი. ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა, მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

სამართლიანობა დაკავშირებულია აუცილებლობასთან. ის, რაც აუცილებელია, სამართლიანია. პოლიტიკურად სამართლიანია ის, რაც სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს, რაც მათ დასაცავად გარდაუვალია. ავიღოთ ომი, რომელიც სასტიკი და დაუნდობელია მოწინააღმდეგე მხარეებისათვის. იგი არაზნეობრივია, მაგრამ შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო. თუ ომი სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად მიმდინარეობს, მაშინ სამართლიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში უსამართლო. მაგალითად, ომი აფხაზეთში ჩვენი მხრიდან სამართლიანია, რადგან იგი მიმდინარეობს საქართველოს როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, საკუთარი სამშობლოს დასაცავად. მიუხედავად ამისა იგი არაზნეობრივია, რადგან მას ეწირება სრულიად უდანაშაულო ადამიანები, მათ შორის, ბავშვები და მოხუცები როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

სამართლიანი და სამართლებრივი არ ემთხვევა ერთმანეთს. უკანასკნელი ნიშნავს კანონიერს, ე.ი. მხოლოდ იმას, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესატყვისია და მისგან გამომდინარეობს. მაგალითად, მობინადრემ არ გადაიხადა ბინის ქირა. სასამართლომ რამდენიმე გაფრთხილებისა და გადავადების შემდეგ გამოიტანა განაჩენი მისი გამოსახლების შესახებ. მობინადრე წვრილშვილიანია, ეკონომიურად უჭირს და არაფრით არ შეუძლია ბინის ქირის გადახდა. ზნეობა მითხოვს, რომ გაჭირვებულ მობინადრეს დავეხმაროთ, ჰუმანურობა გამოვიჩინოთ და არ გამოვასახლოთ. კანონი კი საწინააღმდეგოს გვეუბნება. იგი მოითხოვს, რომ ურჩი გადამხდელი (მას არ აინტერესებს მოტივები — თუ რატომ ვერ იხდის მობინადრე ბინის ქირას) დაისაჯოს და გამოსახლდეს ბინიდან, რათა დაცულ იქნეს კანონიერება და აღსდგეს სამართლიანობა. ამ შემთხვევაში კანონიერი სამართლიანია, მაგრამ არა ზნეობრივი.

კანონიერი სამართლიანია, მაგრამ პირიქით არ არის სავალდებულო. „სამართლიანი" უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცნება „კანონიერი". სამართლიანობა აუცილებლობას გამოხატავს, რომელიც ყოველთვის არ არის კანონით სანქცირებული, ამდენად არ შეიძლება ითქვას, რომ იგი კანონიერია. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს განსხვავებას სამართლიანსა და კანონიერს შორის. ისინი შეიძლება გავაიგივოთ და განვიხილოთ ზნეობასთან მიმართებაში.

სამართლიანობა კანონიერებას ემყარება და გამოხატავს აუცილებლობას. ზნეობა კაცთმოყვარეობას ემყარება და გამოხატავს თავისუფლებას. ისინი არათუ ერთმანეთს არ ემთხვევა, არამედ ხშირად ურთიერთგამომრიცხველნი არიან. სამართლიანი შეიძლება არაზნეობრივი იყოს, ხოლო ზნეობრივი უსამართლო. ზემოთმოტანილ მაგალითებში მობინადრის გამოსახლება ბინიდან სამართლიანია, მაგრამ არაზნეობრივი, ხოლო მისი დატოვება ბინაში ზნეობრივია, მაგრამ — არასამართლიანი.

როდესაც პოლიტიკურ მოღვაწეთა შეფასებას ვახდენთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ პოლიტიკა სამართლის და არა ზნეობის სფეროა. მორალს არ ევალება სახელმწიფოს ფუნქციონების რეგულირება. იგი მასზე ადრე წარმოიშვა და არსებობდა. სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა სამართალი, როგორც მისი რეგულირების აუცილებელი ინსტრუმენტი. სწორედ ესაა სამართლის ძირითადი ფუნქცია. მას სხვა მიზანი და დანიშნულება არ გააჩნია. ზნეობის სფერო კი სულ სხვაა, ამიტომ მისი დანიშნულებაც საზოგადოებაში თავისებური და განსხვავებულია. იგი არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს კაცთმოყვარეობის, სიბრალულის, სიყვარულის, მიტევების და ა.შ. კუთხით, რაც დამოკიდებულია პიროვნების სინდისსა და მრწამსზე, მის თავისუფალ არჩევანსა და გადაწყვეტილებაზე. ამიტომ ზნეობის შეფასების სფერო მხოლოდ პიროვნება და მისი საქმიანობის შედეგია.

მაშასადამე, განსხვავებული კრიტერიუმებით უნდა მოხდეს პოლიტიკური მოღვაწის და პიროვნების შეფასება: პირველი სამართლიანობის, მეორე კი — ზნეობის თვალთახედვით. განა პოლიტიკური მოღვაწე პიროვნება არ არის? — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი ამავე დროს პიროვნებაცაა. მაგრამ ეს ორი სრულიად განსხვავებული ფენომენია. ერთია, ადამიანი როგორც პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც უნდა შეფასდეს მისი საქმიანობის შედეგებით: გართვა თუ არა მან თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას და რამდენად სამართლიანად იქცეოდა იგი. მეორე, ადამიანი როგორც პიროვნება, რომელიც უნდა შეფასდეს მისი სინდისნამუსის მიხედვით: მოქმედებდა თუ არა იგი კაცთმოყვარეობის კარნახით და რამდენად აწუხებდა მას საკუთარი სინდისის ხმა. ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სფეროებია, ამიტომ მათი განსჯისა და შეფასების კრიტერიუმებიც სხვადასხვაა.

სანიმუშოდ განვიხილოთ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა: იგი როგორც პოლიტიკური მოღვაწე ფასდება მისი სახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო. 16 წლის ჭაბუკმა ჩაიბარა დარბეული და გაჩანაგებული საქართველო, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი თურქების მიერ იყო დაპყრობილი. ქვეყანას ღრღნიდა შინაგანი აშლილობა. არ იყო ერთიანობა. საერთო-ეროვნული ინტერესების ცნობიერება თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი. დიდი ფეოდალები თავიანთი მამულის მოვლა-პატრონობით იყვნენ დაკავებულნი და ნაკლებად აწუხებდათ სახელმწიფოს ბედი. ბრძენმა მეფემ თავისი ენერგიული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკით თითქმის შეუძლებელი შეძლო. მან გაწმინდა საქართველო მტრებისაგან, გაერთიანა იგი და შექმნა ძლიერი სახელმწიფო. რა საშუალებების გამოყენებით მიაღწია მან ქვეყნის აყვავებას და გაძლიერებას? ცეცხლით და მახვილით. მას დასჭირდა გამუდმებული ომების წარმოება შემოსეულ ურდოებთან. იგი დაუნდობელი იყო გარეშე თუ შინაური მტრების მიმართ; მსტოვართა ინსტიტუტი აიყვანა სახელმწიფოს დონეზე. მტერთან ბრძოლის დროს მიმართავდა მოულოდნელ თავდასხმებს, მოტყუებას, ეშმაკობას, და ა.შ. რითაც მუსრს ავლებდა მას. უდავოა, რომ მის მიერ გამოყენებული მეთოდები ზნეობის თვალსაზრისით მიუღებელი და დაუშვებელია. ამიტომ ჩვენი დიდებული მეფე, რომელიც მათ მიმართავდა, ხომ არ უნდა შევაფასოთ როგორც უზნეო და სისხლისმსმელი? რა თქმა უნდა, არა. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკის სფეროა, რომელიც არ ექვემდებარება ზნეობას და [illegible] რეგულირდება მისი ნორმებით და პრინ[illegible]. აქ საკითხი უნდა დაისვას აუცილ[illegible] თვალსაზრისით. აუცილებელი [illegible] თუ არა აღნიშნული მეთოდების გამოყენება? სხვაგვარად შეეძლო თუ არა მეფეს იმ კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში რაიმე სასურველი მიზნის მიღწევა? ცხადია, რომ მიტევებით და შენდობით, კაცთმოყვარეობით და ლმობიერებით არათუ გამარჯვება, არამედ ოდნავი წარმატებაც კი გამორიცხული იყო. მაშასადამე, მეფე იძულებული იყო მათთვის მიემართა. სხვაგვარად მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს სრული კრახი მოელოდა. ამიტომ დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა როგორც მიზნის, ისე მეთოდების მხრივ სამართლიანი იყო. აქ მიზანი (სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები) ამართლებს საშუალებებს (ომს, ძალადობას, მოტყუებას და ა.შ.).

სულ სხვა კრიტერიუმებით და ღირებულებებით უნდა მოხდეს დავით აღმაშენებლის როგორც პიროვნების შეფასება. აქ ძირითადია ზნეობრივი პრინციპები და ნორმები. კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა, ქველმოქმედება და სათნოება — აი თვისებები, რომელთაც მეფე უხვად აფრქვევდა პოლიტიკური სფეროს მიღმა — ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების დროს. რაც მთავარია, მას როგორც პიროვნებას აწუხებდა თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგი, რის გამოც განიცდიდა სინდისის ქეჯნას და მიტევებას სთხოვს უფალს. ამის დასტურია მისი „გალობანი სინანულისანი". იგი ჩამოთვლის თავის ცოდვებს: „თითოეულსა [illegible] ვემსგავსე, მრავალგ[illegible]სა". „მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისა შენისათა" — ჰგოდებს მეფე, რომ დაემსგავსა მხეცს და უმტრო ქრისტიანულ მორალს: „ესენი ვსცოდენ საზარებისა სჯულთა და მცნებთა შენთა შინა" — აცხადებს იგი. ერთ-ერთ ცოდვად მას მიაჩნია, რომ იპყრობდა მეზობელ ქვეყნებს. „წურბლისა მსგავსად ვერ-მაძღარი სხვათა სოფლის კიდეთა ვეძებდ დასაპყრობლად... ბოროტად გარდავხედ საზღვართა. შევპრთე სახლი სახლისა, აგარაკი — აგარაკსა და უძლურესთა მოვჰხვეჭე ნაწილი მათი და ვიდრწვიდ ყოვლად უმეზობლობასა ვითარმცა მარტო ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა". — მოთქვამს ჩვენი სახელოვანი წინაპარი. იგი მუხლმოდრეკილი მიმართავს ღმერთს და შესთხოვს პატიებას: „მილხინე, ჰოი მეუფეო, მილხინე, და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა, და ნუ მოიხსენებ ძვირთა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა. რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან!".

ჩვენს წინაშეა ორი სრულიად განსხვავებული სულის მქონე ადამიანი — პოლიტიკოსი და პიროვნება. დავით აღმაშენებელი როგორც პოლიტიკური მოღვაწე სასტიკი და დაუნდობელია. დავით აღმაშენებელი როგორც პიროვნება კაცთმოყვარე და შემწყნარებელია. პირველი სამართლიანია და არა ზნეობრივი, ზოგჯერ არასამართლიანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უზნეო, მეორე კი — ზნეობრივია, ზოგჯერ არასამართლიანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უსამართლო.

აღნიშნული დახასიათება პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ იგი იოლად აიხსნება თუ გავითვალისწინებთ განსხვავებას პოლიტიკურ და პიროვნულ ურთიერთობებს შორის. პირველი სამართლიანობა-უსამართლობის, ხოლო მეორე — ზნეობრიობა-უზნეობის სფეროა: შესაბამისად პოლიტიკოსი შეიძლება დახასიათდეს როგორც სამართლიანი ან უსამართლო, ხოლო პიროვნება როგორც ზნეობრივი ან უზნეო. თუ მოხდა მათი აღრევა, მაშინ შეფასებებიც უმართებულო იქნება. აღმოჩნდება, რომ ძლიერი და დიდი პოლიტიკოსი უფრო უზნეოდ გამოიყურება, ვიდრე სუსტი პოლიტიკოსი, რომელმაც თავისი უნებისყოფობისა და უნიათობის გამო ვერც სიკეთე დათესა და ვერც ბოროტება.

ჩვენი პოზიცია ხომ არ არის ტირანისა და დიქტატორის გამართლება, დაწყებული ნერონიდან სადამ ჰუსეინის ჩათვლით? არავითარ შემთხვევაში. ყოველი დიქტატორი ჩვენ უნდა შევაფასოთ როგორც პოლიტიკოსი და როგორც პიროვნება სხვადასხვა კრიტერიუმებით. პირველი შეფასდება სამართლიანობის, მეორე კი — ზნეობრიობის პრინციპებით. ნერონი პირად ცხოვრებაში ამორალური პიროვნება იყო, რადგან ეწეოდა აღვირახსნილ და გარყვნილ ცხოვრებას. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, აქ იგი უნდა შევაფასოთ როგორც უსამართლო. ისტორია მას ბრალს დებს არა იმიტომ, რომ იგი ქვეშევრდომებს სჯიდა, არამედ იმიტომ, რომ იგი უდანაშაულო ადამიანებს სჯიდა, თან ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით — არაადამიანური წამებით. ნერონი თავის ცხენს სხდომებს ასწრებდა. პოლიტიკურად ეს დანაშაული ავლენს, ერთის მხრივ ტირანის თვითნებობას (რაც მინდა, იმას გავაკეთებ), ხოლო, მეორეს მხრივ, ხუნტის უძლურებას, რომ აღკვეთა სამართლის ელემენტარული ნორმების დარღვევა. სადამ ჰუსეინის როგორც პოლიტიკოსის შეფასებისას ამოსავალი უნდა იყოს არა მისი ზნეობრივი თვისებები (ამ მხრივ უმწიკვლოა თუ არა იგი), არამედ რამდენად სამართლიანი და შორსმჭვრეტელურია მისი პოლიტიკა. ამ სფეროში მან გამოავლინა სრული სიბეცე და უსამართლობა. იგი უსამართლოდ მოიქცა არა მხოლოდ ქუვეიტის, არამედ თავისი ხალხის მიმართ. ქვეყნის მმართველი, რომელიც ვერ ვათვლის თავისი ქვეყნის და მოწინააღმდეგის სამხედრო ეკონომიკურ შესაძლებლობებს და თავის ხალხს მტრის საზარბაზნე ხორცად გაწირავს, უბრალოდ ცუდი პოლიტიკოსია. და აქ მისი ზნეობრივი სახე არაფერ შუაშია. ეს უკანასკნელი შეიძლება საინტერესო იყოს მისი პიროვნების დახასიათებისას.

ამგვარად, პოლიტიკა სამართლის არა ზნეობის სფეროა. იგი სამართლებრივი და არა ზნეობრივი უნდა იყოს. შესაბამისად პოლიტიკოსი უნდა იყოს სამართლიანი, მაგრამ იგი ვერ იქნება ზნეობრივი. რაც შეეხება მას როგორც პიროვნებას, იგი შეიძლება იყოს ზნეობრივი ან უზნეო. პოლიტიკოსი, რომელიც სამართლიანია, არ ნიშნავს, რომ იგი როგორც პიროვნება უსათუოდ ზნეობრივია და პირიქით, ზნეობრივი პიროვნება არ გულისხმობს, რომ იგი როგორც პოლიტიკოსი უეჭველად სამართლიანი იქნება.

---

# ზოგნი სამშობლოს იცავენ, ზოგნი თეორიულად „ასაბუთებენ", თუ რატომ არ იბრძვიან საკუთარი მამულისათვის...

დასასრული

ესმის. მაშინ, როცა ჩვენი რჩეული ვაჟკაცები (გამონაკლისი ყველგანაა) აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ყოველ გოჯ მიწას სისხლის ფასად იცავენ, არა ნაკლებ „რჩეულნი", ჯანღონით სავსე ბიჭების უმეტესობა გამდიდრების სურვილით შეპყრობილი, დღედაღამ იმას ფიქრობს, რა იყიდოს, ვის მიჰყიდოს და ასე უსასრულოდ. იყიდე-გაყიდე გახდა საქართველო. როდემდე? ამქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს — ამ აბსურდული ყიდვა-გაყიდვის „კარუსელს" კი გამაჩერებელი აღარ გამოუჩნდა.

„ეჰა, მეომარნო ქრისტესნო! თუ მამულისა და ქრისტეს სამსახურისათვის ვიბრძოლებთ, არათუ ურიცხვ მტერს, ეშმაკთა მხედრობასაც ადვილად დავამარცხებთ". — ასე მიმართა დავით აღმაშენებელმა სრულიად საქართველოს, დიახ, არა მარტო იქ მყოფ მეომრებს, არამედ სრულიად საქართველოს, რადგან დიდგორის ველზე წყდებოდა მაშინ სამშობლოს ბედი და ყოველი ქართველის ფიქრი, ქალი იქნებოდა იგი თუ აბჯრიანი მეომარი, მას დასტრიალებდა. ამიტომაც გავიმარჯვეთ მაშინ. დღესაც გავიმარჯვებთ, ოღონდ ერთ-სულ და ერთ-ხორც უნდა იქცეს მთელი საქართველო. ოღონდ „სუფრის პატრიოტებს" ომში დაღუპული ლომგულა ბიჭები უნდა გვერჩივნოს, მაძღარ მონობას-მშიერი თავისუფლება. სხვის სამოთხისეულ სანახებს — ჩვენი ნატყვიარი, ღირსეული და ნაწამები საქართველო. რამეთუ ღარიბს, ღატაკს, მიუსაფარს, უფრო დიდი სიყვარული სჭირდება. დარდსა და ნაღველს რა გაუქარვებს ქართველს. თამაზ მრავალ სტკივართან ერთად, სიმუხთლეს, შვილთა მისთა, მისტიროდა და მისტირის დღესაც. სისხლისაგან დაცლილი, მაგრამ სმალნაუგებელი დედა ქართველისაც ხომ ამას გვევედრება: „შეერთდით ქართველებო"!

ზეციდან ეშვება ხვალის საქართველო. ხმლოსანი, წიგნიერი საქართველო. ნინოს ჯვრით გზაგანათებული, არა „ჩემი" და „შენი", არამედ ჩვენი საქართველო.

სვეტა ამბროლაძე
ნანა ვასაძე
თსუ სტუდენტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რკინის ქალამნებით სიმართლის საძიებლად

გასული წლის 23 მაისს, დაახლოებით 19 საათზე, ხაშურის რაიონის სოფელ იტრიაში, ამავე სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მასწავლებლის ვალოდია იოსების ძე ქურდაძის ოჯახში მოხდა საზარელი ტრაგედია. რაიონში დისლოცირებული ეროვნული გვარდიის ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე ავთანდილ გონგლაძე, გვარდიის ორ რიგით მებრძოლს — კობა ხარშილაძესა და ოლეგ ტაბტაძესთან ერთად, მიეჭრა ვალოდია ქურდაძეს სახლში მანქანით და თავის ვაი ამხანაგების აშკარა ხელშეწყობით ავტომატით დახოცა: ვალოდია, მისი მეუღლე ნატაშა ქურდაძე და შვილი ილია ქურდაძე.

ამ ტრაგედიამ მთელი სოფელი, დაბა, თვე გაგრძელდა სასამართლოს სხდომები. ბოლოს საქმეც დასრულდა და აი, აქ გამოჩნდა ნათლად, ჩვენი გაგებით, მოსამართლის არაობიექტური და არაპიროვნული სახე.

კერძოდ, მან რატომღაც მკვლელს მოუხსნა სამი უდანაშაულო ადამიანის განსაკუთრებულ დამამძიმებელ მდგომარეობაში დახოცვის მუხლი. და ეს მაშინ, როცა მკვლელმა ორი მათგანი პირდაპირი დამიზნებით ერთ ოთახში ოთხ-ოთხი ტყვიით მოკლა, ხოლო ნატაშა ქურდაძე, რომელიც ქმრისა და შვილის დახოცვის მხილველი იყო, მეორე ოთახიდან — ცხრა ტყვიით. მეორე, ჯ. ლეონიძემ, როგორც მოსამართლემ და როგორც პროფესიონალმა, ვერ თუ არ გამოიჩინა მოქალაქეობრივი სიმაღლე და

# ესაა მართლმსაჯულება?!

ფართო საზოგადოებრიობა აღაშფოთა; ეს საშინელი ფაქტი გადაიცა რამდენჯერმე ტელევიზიით. გამოცხადდა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე, როგორც გაუგონარი ვანდალური მკვლელობა. 24 მაისს დილით სოფელმა გადაკეტა რიკოთის უღელტეხილის გზა. შეჩერდა ტრანსპორტი როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მხრიდან. აღელვებული ხალხი მოითხოვდა მკვლელების გადაცემას. საქმეში ჩაერია რაიონის ხელმძღვანელობა. მეტიც: ჩამოვიდნენ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეები: ს. ყიფიანი და ვ.სიმონიშვილი, ქ.თბილისის პროკურორი მ. ქურდაძე და თ.ნინუა. გამართეს სახალხო ყრილობა დაბა სურამისა და სხვა ახლობელი სოფლის წარმომადგენლებმა იტრიის ეკლესიის ეზოში და მოითხოვეს მკვლელების მკაცრი დასჯა.

ძალზე დაიძაბა მდგომარეობა. ხალხთან მოსალაპარაკებლად გვიხმეს ჭირისუფლებიც. მოკლინებული ამხანაგები გვირჩევდნენ, მოეხსნა ხალხს პიკეტი და გვპირდებოდნენ, რომ მაქსიმალურ ღონეს იხმარდნენ მკვლელების მიმართ. ჩვენც რა გვექნა, ვენდეთ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვთხოვეთ ხალხს, მოეხსნათ პიკეტი და მოეცათ ჩვენთვის დახოცილთა დასაფლავების საშუალება. ხალხმა დაიჯერა წარმომადგენელთა და ჩვენი თხოვნა, თუმცა აქა-იქ გაისმა ხმა, ვის ვენდობით, ხომ ხედავთ, დღეს რა მართლმსაჯულება გვაქვსო. ცხადია, მაშინ ამ საკითხის უფრო ღრმად გაჩხრეკისა და ძიების სხვა გარემოებანი არ ჩანდა და, ბუნებრივია, ვენდეთ წარმომადგენელთა დაპირებას. მაგრამ, ახლა მეორედ, აქაც მწარედ მოვტყუვდით. მართალია, ხაშურის რაიონის პროკურატურამ (პროკურორი ლ.კაპანაძე, გამომძიებელი ნ. სალია) მკვლელს დახვრეტის მუხლი მიუსაჯა, მაგრამ ფაქტიურად საქმე ისე დაისახა, რომ მკვლელის ხელისშემწყობი გვარდიელები — კ.ხარშილაძე, ვისი სატაბელო იარაღითაც მოხდა მკვლელობა, დაზარალებულის როლში წარმოადგინეს, ხოლო მეორე — ო. ტაბატაძე კი — მოწმის როლში.

აშკარა იყო, რომ დანაშაულის ჩამდენთა ფუნქციების ასეთი განაწილება, თავიდანვე მკვლელის წისქვილზე ასხამდა წყალს. და ეს ასეც მოხდა. ჩვენ კი — გულუბრყვილო დაზარალებულები ვფიქრობდით, რომ უმაღლეს სასამართლოში საქმე გვექნებოდა უფრო მაღალკვალიფიციურ მუშაკებთან და მომხდარი მძიმე დანაშაული ობიექტურად შეფასდებოდა. სამწუხაროდ, ამჯერად მესამედაც, იმედი გაგვიცრუეს.

საქმე განსახილველად გადაეცა უზენაეს სასამართლო კოლეგიას (მოსამართლე ჯ.ლეონიძე, პროკურორი კ.მარტყოფელაშვილი, მსაჯულები; ნ.ნაკაშიძე და თ.წულეისკირი). უზენაეს სასამართლოში, ჩვენი შეხედულებით, ყველაფერი უკულმართად იმით დაიწყო, რომ მოსამართლე ჯ.ლეონიძე ერთი ბრალდებით ვერ დავითანხმეთ სასამართლო ხაშურში ჩაეტარებინა. თითქმის სამი

სამი უდანაშაულო ადამიანის განზრახ მკვლელს დახვრეტის მუხლი შეუცვალა.

მეტიც, მან ყურად არ იღო სამხედრო პროკურორის კ.მარტყოფელაშვილის, მართალია ლიბერალური, მაგრამ მაინც დღევანდელ პირობებში ერთგვარად მართებული მოთხოვნა და არ მიუსაჯა მკვლელს 15 წლით პატიმრობა, რომელიც ითვალისწინებდა დამნაშავის 5 წლით თავისუფლების აღკვეთას სატუსაღოში, 5 წლით თავისუფლების აღკვეთას მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში და 5 წლით ჩვეულებრივ შრომა-გასწორების ბანაკში სასჯელის მოხდას.

და აი, ასეთი, სრულიად გაუმართლებელი მანევრირების შემდეგ მოსამართლე ჯ. ლეონიძემ და მისმა მსაჯულებმა გამოიჩინეს საქმისადმი მაღალი „პროფესიული" დამოკიდებულება და მკვლელს ნობათის სახით უბოძეს 14 წლით პატიმრობა ჩვეულებრივ შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით.

დიდი მისნობა არ უნდა იმას, რომ მკვლელი საჩუქრად ნაბოძებ ამ 14 წელსაც სხვადასხვა მანქანებით მინიმუმამდე შეამცირებს და ხვალ-ზეგ ვინ იცის, კიდევ რას ჩაიდენს ასეთი შეღავათით გაზულუქებული?! ესაა მართლმსაჯულება?! უდანაშაულოდ დახოცილთა ჭირისუფალთა სამართლიანი ქომაგობა?! აი, ეს კითხვები არ გაითვალისწინეს მოსამართლე ჯ. ლეონიძემ და მისმა მსაჯულებმა, არადა სწორედ ეს აწუხებს დიდად ფართო საზოგადოებასაც, გვაწუხებს ჩვენც, როგორც მოუშუშებელი საკუთარი ტკივილის პატრონთ. აშკარაა, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა უფლებების ძალზე უხეშ ხელყოფასთან. ვფიქრობთ, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, იგი მავნე და დასაგმობია.

ვინ, ვინ უნდა ამოიღოს საპროტესტო ხმა ამ უსამართლობის წინააღმდეგ? მარტო ჩვენ, დაღუპულ უდანაშაულო ადამიანთა ჭირისუფლებმა? არა, მეგობრებო, მთელმა საზოგადოებამ, ხალხმა, ვისაც ბანდიტები და ბნელი ადამიანები უდანაშაულოდ სიცოცხლეს ართმევენ. მართლმსაჯულების კვალიფიციურმა სპეციალისტებმა, რომლებიც მოვალენი არიან, დაიცვან კანონიერების უზენაესობა, საკანონმდებლო ორგანოებმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ.

უდანაშაულო ადამიანების მკვლელთა დახვრეტა დღეს მოწინავე არაერთ კაპიტალისტურ ქვეყანაშია შემოღებული და ჩვენ რატომ მტკიცედ და განუხრელად არ ვაკანონებთ მას? ვის ვეკეკლუცებით, ბანდიტებს, სადისტებს, ადამიანთა მოძულეებს და ქრისტესმიერ ჩვენ მოყვასს ვწირავთ?! ეს ხომ, პირდაპირ ვიტყვი, უბრალო და პატიოსანი მშრომელი ხალხის ღალატია, ანარქიის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რისი მოწმენიც ფაქტიურად დღეს ვართ და ხვალ რა იქნება, არავინ უწყის.

შოთა ქურდაძე
რეზო ქურდაძე

# პრივატიზაცია — სამართლიანი გზით

საქართველო ადგება საბაზრო ეკონომიკის გზას, რაც თავისთავად ვინმეს კაპრიზს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს არის ერთადერთი გზა ეკონომიკის აღმავლობის მიღწევისათვის. რამეთუ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება თავის თავში გულისხმობს კაპიტალისტური წარმოების წესისა და საკუთრებითი ურთიერთობების შემოღებას. ამ გზაზე უპირველეს მიზანს წარმოადგენს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი განათლებული და თავისი საქმის ღრმა ცოდნის მქონე მესაკუთრის გაჩენა. მესაკუთრის გაჩენის ყველაზე სწრაფ გზას წარმოადგენს ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის ჩატარება.

პრივატიზაციამ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ მესაკუთრის წარმოქმნა, არამედ აღნიშნულ მესაკუთრეს უნდა შეეძლოს თავისი ქონების შენარჩუნებაც და ეფექტიანი გამოყენებაც. სწორედ აქ ვაწყდებით წინააღმდეგობას. ჩვენს საზოგადოებაში, ერთი მხრივ, არსებობს მდიდართა და პრივილეგირებულ ადამიანთა ფენა, რომელთა უმრავლესობას არასაკმარისი განათლების გამო, არ შეუძლია შეასრულოს მესაკუთრის ფუნქციები, ხოლო მეორე მხრივ გვყავს საკმარისი სახსრების არმქონე ხალხის ჯგუფი, რომელიც აღჭურვილია კერძო მესაკუთრისათვის აუცილებელი ცოდნის მარაგით. სახელმწიფო ქონების განკერძოების რამდენიმე პრინციპულად განსხვავებული გზა არსებობს. სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის შემთხვევაში მთელი ქონება გადაინაცვლებს მოსახლეობის უკანონოდ გამდიდრებულ ფენაში. რადგან ამ ფენის უმრავლესობას არ აქვს მესაკუთრისთვის საჭირო ცოდნა და იგი დასპეციალებულია მხოლოდ სახელმწიფო ქონების დატაცებაში, ამიტომ ისინი ვერ შეასრულებენ მესაკუთრის ფუნქციებს. ასევე, მოსახლეობაში არსებული ფულადი რესურსების უკმარისობის გამო შეუძლებელი გახდება ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის განხორციელება. ამავე დროს, ქონების გარეშე დარჩებიან ის ადამიანებიც, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო ცოდნით. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ეს გზა ვერ უზრუნველყოფს დასავლეთის ქვეყნებში არსებულ მეწარმეთა ფენის სწრაფად ჩამოყალიბებას.

უფრო მანკიერ გზას წარმოადგენს კონკურსის წესით სახელმწიფო ქონების გაყიდვა. ამ დროს ჩვენს ქვეყანაში არსებული პრივილეგირებული ფენა შეეცდება თავისი გავლენის გამოყენებით იაფად ჩაიგდოს ხელში სახელმწიფო ქონება. კომისია, რომელიც დაინიშნება საუკეთესო პროექტის შერჩევის მიზნით, აღმოჩნდება როგორც მაღალი თანამდებობის პირთა ზეწოლის ქვეშ, ასევე დადგება ქრთამის აღების ცდუნების წინაშეც. ამ პირობებში შეუძლებელი გახდება რეალურად საუკეთესო პროექტის შერჩევა, ხოლო ქონება გადაინაცვლებს არა კომპეტენტური, არამედ ელიტარული ფენის ხელში.

პრივატიზაციის ასეთი ფორმა გამოიწვევს მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილებას. სოციალისტური კონსტიტუციის მიხედვით ქონება წარმოადგენს საერთო-სახალხო საკუთრებას, ამიტომ მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენაში არიან ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფოსაგან „მისი წილი" ქონების უსასყიდლოდ მიღებას. ამავე ფენაში არიან ის ადამიანები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო ცოდნით და მზად არიან გახდნენ მესაკუთრენი, მაგრამ არ გააჩნიათ სათანადო ფულადი სახსრები. პრივატიზაციის წარმართვა ამ ადამიანების მონაწილეობის გარეშე ყოვლად დაუშვებელია ეს ის ხალხია, რომელიც სახელმწიფოსაგან მცირე კაპიტალის მიღების შემთხვევაშიც შეძლებს გამდიდრებას და მესაკუთრედ ჩამოყალიბებას. საზოგადოებაში არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც არა აქვთ სურვილი, გახდნენ მესაკუთრენი, თანახმანი არიან ეწეოდნენ დაქირავებულ შრომას და იცხოვრონ მიღებული ხელფასით. პრივატიზაციის პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის (მთელი ქონების, ვთქვათ 70 პროცენტი) განკერძოება საპრივატიზაციო ბარათების საშუალებით. საპრივატიზაციო ბარათების გავრცელებასთან ერთად უნდა დაიწყოს საწარმოთა აქციონირების მასიური პროცესი, რათა ამ ბარათების გამოყენებით შესაძლებელი იყოს საწარმოთა აქციების შეძენა.

საპრივატიზაციო ბარათების გამოყენება ერთგვარად შეამცირებს მოსახლეობის ფენების უკმაყოფილებას. მართალია, მდიდარი ფენა შეინარჩუნებს ქონებრივ უპირატესობას, მაგრამ ამ შემთხვევაში საშუალო და ღარიბ ფენაში არსებულ უნარიან პიროვნებებს ეძლევათ მესაკუთრედ ჩამოყალიბების ერთგვარი შესაძლებლობა.

მოქალაქეს უნდა მიეცეს საპრივატიზაციო ბარათის თავისუფლად გაყიდვის უფლებაც, რადგან ის პირები, ვისაც არ სურს გახდეს მესაკუთრე, გაყიდიან თავიანთ ბარათებს, ხოლო ამ ბარათებს შეიძენენ ისინი, ვისაც აქვს სურვილი, გახდეს მესაკუთრე.

საპრივატიზაციო ბარათებით ვაჭრობის დაშვება ქმნის ინფლაციური პროცესების გაღრმავების საშიშროებას. მოსალოდნელია, რომ ღარიბი ფენის წარმომადგენლები მასობრივად გაყიდიან თავიათ ბარათებს, მათი შესყიდვა კი მოხდება ძირითადად იმ ფულის საშუალებით, რომელიც უძრავად არის შენახული. უძრავად მყოფი ფული გადაინაცვლებს რა ღარიბი ფენის ხელში, ისინი გამოვლენ ბაზარზე მათთვის საჭირო საქონლის შესაძენად. ამის გამო ბაზარზე მოიმატებს როგორც მყიდველთა, ასევე ფულის რაოდენობაც, რათა თავისთავად გაზრდის დეფიციტს და გააღრმავებს ინფლაციას, მაგრამ ეს იქნება ერთჯერადი მოვლენა და ვერ მოახდენს ეკონომიკაზე დამანგრეველ გავლენას იმიტომ, რომ საპრივატიზაციო ბარათების მასობრივად გაყიდვის შემთხვევაში თავისთავად დაეცემა მათი ფასი, რაც ერთგვარად შეასრულებს უძრავად მყოფი ფულის ბაზარზე გადმოდინების პროცესს.

პრივატიზების ასეთი მექანიზმი საშუალებას მოგვცემს მესაკუთრეთა ჩამოყალიბების პროცესში ჩავაბათ მოსახლეობის არა მხოლოდ მდიდარი და პრივილეგირებული ფენა, არამედ საშუალო და ღარიბი ფენებიც და სრულიად გამოვიყენოთ საზოგადოებაში არსებული გონებრივი პოტენციალი.

რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა უარვყოთ ქონების აუქციონის წესით გაყიდვაც. ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრები კი გამოყენებული უნდა იქნეს რესპუბლიკის ბიუჯეტში არსებული დეფიციტის დაფარვის მიზნით.

ამ ბოლო დროს პარლამენტში გაისმა ხმები, რომ პრივატიზაციის განხორციელების მიზნით გამოყენებულ იქნეს იჯარა გამოსყიდვის უფლებით. ამ მეთოდით სახელმწიფო ქონების პრივატიზირება ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია შემდეგი მოსაზრების გამო. ქონების იჯარით გაცემის დროს სახელმწიფო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რჩება ქონების მესაკუთრედ, ამიტომ სამინისტროები და უწყებები, რომლებიც იქნებიან იჯარის გამცემის როლში, შეეცდებიან ერთგვარი კონტროლის დაწყებას იჯარის ამღებზე, რაც საბოლოოდ მიიღებს მანკიერ სახეს და გადაიზრდება იჯარის ამღებთაგან ფულის გამოძალვის პრაქტიკაში. ასევე, რადგან ქონება გამოსყიდვამდე რჩება სახელმწიფო საკუთრებაში, ამიტომ იჯარის ამღები არ იქნება დაინტერესებული ძირითადი ფონდების განახლებაში და, მაშასადამე, საკმაოდ დიდი ხნით შეფერხდება ტექნიკური პროგრესი და გამოშვებული პროდუქციის ამაღლების პროცესი.

უფრო მიუღებელია საწარმოს იჯარით გადაცემა შრომით კოლექტივზე. შრომითი კოლექტივის მიერ საწარმოს გამოსყიდვის შემდეგ ფაქტიურად მივიღებთ კოლმეურნეობის. მსგავს საწარმოს, სადაც ქონების მესაკუთრედ მოგვევლინება შრომითი კოლექტივი, რომლის შემოსავალს წარმოადგენს ხელფასი და არა დივიდენდი. შრომითი კოლექტივი, იზრუნებს რა ხელფასის გაზრდისათვის, ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენებს საწარმოს განკარგულებაში მყოფ მთელ თავისუფალ სახსრებს. ამით საწარმოო ჩავარდება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში და გაკოტრდება.

ფრიდონ
ასლანიკაშვილი

საქართველოში ამ ბოლო დროს სხვა მრავალ უმსგავსობასა და შემზარავ უკეთურობასთან ერთად ფართოდ გავრცელდა ლინჩის წესით გასამართლება. ადამიანები, რომლებსაც სამართლისა და სამართლიანობის იმედი გადაწურული აქვთ, თავდვე ხდებიან დამნაშავის განმკითხავნი; თავადვე კისრულობენ მართლმსაჯულების ფუნქციას. თუ დღესვე არ აღიკვეთა კოლექტიური შურისძიების ეს მახინჯი ატავიზმი, ხვალ შესაძლოა ძალზე გვიან იყოს.

ქვემოთ გთავაზობთ მწერალ როსტომ ჩხეიძის წერილის — გამოკვლევას, რომელიც საგანგებოდ მიძღვნილია ამ მახინჯი მოვლენისადმი.

# ეშმაკის ქვა

**როსტომ ჩხეიძე**

სამივე მოთხრობაში მსგავსი სიტუაციაა — შიო არაგვისპირელის „და-ძმა“, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას „ლაზარემ გადააჭარბა“ და დიმიტრი ერისთავის „ვისი ბრალია?“: ოჯახის ნათლია შეაცდენს ნათლიდედას. და სამივე ერთნაირად მთავრდება: ზნეობის შემბღალავი იღუპება, თავისივე ცოდვის წერა შეიქმნება. ამ მსგავსების, საერთო ზნეობრივი სიახლოვის გამო გამოჰყო ეს მოთხრობები ცალკე კიტა აბაშიძემ (თუმც ისიც აღნიშნა, მხატვრული ღირსებანი მხოლოდ შიო არაგვისპირელის მოთხრობას დასტყობიაო), რათა დაჰკვირვებოდა ცოდვისა და სასჯელის პრობლემასა და მისდამი საზოგადოების მიმართებას — რაც საკმაოდ აღელვებდა და მოგვიანებით უფრო ჩაძიებით და განზოგადოებით კიდევ დაუბრუნდებოდა.

აქ ის ცოდვა მართლაა ჩადენილი, რაც ტყუილუბრალოდ დასწამეს მარიტას: და თუმც მის გამეტებას სულ სხვა ფსიქოლოგიური მიზეზი ჰქონდა (სილამაზის განწირულება ამქვეყნიურ ყოფაში), მაგრამ, ასეა თუ ისე, საზოგადოება სადაც სრულიად თუ არ წარხოცილა მორალი და წესრიგი არ მოშლილა, ვერ შეეგუება ზნეობის შებღალვას.

სწორედ ასეთი თვალთახედვითაა აღქმული ნიკოს („და-ძმა“) და ნესტორის („ვისი ბრალია?“) მიმართ აღსრულებული განაჩენი: რომ საზოგადოებამ დასაჯა მკაცრად ულირსი წევრები და ასე დაიცვა ზნეობრივი კანონები; ხოლო ზურიას დამსჯელად („ლაზარემ გადააჭარბა“) ღმერთი გვევლინება, აქ უკვე სარწმუნოებაა ზნეობისა და საზოგადოების დამცველი.

ოჯახის სიწმინდის შებღალვა თავისთავად დიდი ცოდვა და დანაშაულია, მაგრამ კიდევ უფრო მეტი გამძაფრებისა და განზოგადოებისათვის ამ ცოდვაში ნათელმირონის წახდენაც ჩაერია: რათა უფრო თვალსაჩინოდ გაცხადებულიყო ოჯახური სიწმინდის წილნაყარობა ღვთაებრივ კანონებთან და, ამასთან, ცოდვის ჩამდენთა ბუნების სიმდაბლეც.

ამიტომაც არ არის შემთხვევითი, როცა ზურიას მეხი დაეცემა და მოკლავს, ამის მხილველი ირინე კი ჰკუაზე შეიშლება — ეს განგების ძალით აღსრულდა, როგორც გვარწმუნებს მწერალი („ღმერთმა ხელი აილო იმათზედ“).

და როცა ნიკოს ხანჯლით აკუწავენ და ნესტორს თოფს დაახლიან, ეს საზოგადოების მიერ მისჯილ სასჯელად გაიაზრება, თუმც ამას სჩადიან შეურაცხყოფილი ქმრები: მაგრამ მათი მოქმედება არ არის პირადი განაჩენი, თავიანთი ღირსების შელახვით გამოწვეული — ისინი, უპირველესად, საზოგადოების წარმომადგენლები არიან, მისი ცალკეული, განუყოფელი ნაწილნი, ოღონდ საერთო ზნეობრივი ინტერესების გამომხატველნი. ეს ვერ იფარავთ იურიდიული სასჯელისაგან, მაგრამ მორალურად გამართლებულნი არიან.

მორალისტური თვალთახედვით ისეა დაგმობილი ოჯახური სიწმინდის დარღვევა, რომ თხრობა სასჯელის აღსრულებასთან წყდება, შურისმგებელთა ფსიქიკაში დატრიალებული ვნებათაღელვის აღწერის გარეშე — მაგრამ სოციალური ტენდენცია, წოდებრივი დაპირისპირებაც მკაფიოა...

მაშ ასე: საზოგადოებამ დასაჯა ცოდვილნი.

მოთხრობები ამას ამართლებენ, მაგრამ აქვს კია საზოგადოებას ამის უფლება?

თუმც საზოგადოებრივი აზრი ბევრად აღემატება თვითეული პიროვნებისას, მაგრამ განა საზოგადოება უნდა იჭრებოდეს ღვთის უფლებებში?

საზოგადოების არსებობა, ცხადია, ეფუძნება არა მარტოდენ ზნეობრივ კანონებს, არამედ მათი დაცვის უთუო აუცილებლობას მისი ყოველი წევრის მიერ: რათა ერთის გამრუდებული საქციელი მაგალითად არ გაიხადონ სხვათაც და ასე ერთმანეთის მიყოლებით საზოგადოების ზნეობაც სრულიად არ მოიშალოს.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, მათი ეთიკური მოვალეობანი ერთმანეთის წინაშე იმავე წინააღმდეგობრივ რკალშია მოქცეული, რაც კაცობრიობის არსებობისათვისაა ნიშანდობლივი. პირველ ყოვლისა, თვალშისაცემია სოციალური მხარე, რომლის გათვალისწინებაც გვარწმუნებს, რომ ასე იოლად გადასაწყვეტი არ არის უნებლიედ თუ განზრახ შემცოდე პიროვნებათა ბედი, რადგან უკუღმართობანი მეტად სახიფათო თუ მაცდური მიზეზებია დანაშაულის გამოსაწვევად. მოჩვენებითი წესრიგის გულში ჩაბუდებული ეს მიზეზები თანაგრძნობასა და სიბრალულს ბადებენ დამნაშავეთადმი, მაგრამ მათი ზნეობრივი გამართლება კი მაინც ყოვლად შეუძლებელია: პიროვნება ყოველგვარ პირობებშია პასუხისმგებელი ზნეობრივი კანონების წინაშე.

მაგრამ ზნეობრივი კანონების წინაშე პასუხისმგებელია საზოგადოებაც და ხომ არ უნდა შეიძლებოდეს, რომ პიროვნების განმსჯელად ცოდვილი საზოგადოება მოგვევლინოს? არადა, განა იდეალური საზოგადოება ოდესმე არსებულა ან, თუ უტოპიურ თეორიებს არაფრად ჩავაგდებთ, ოდესმე იარსებებს?

ყოველთვის, როცა ეს ფიქრი გაკრთება — აქვს თუ არა საზოგადოებას უფლება მსაჯულად მოევლინოს თავის წევრს, საზღაური მიაგოს ულირსი საქციელისათვის — მეხსიერებაში მაშინვე ძალდაუტანებლად ჩნდება იოანეს სახარების ის ცნობილი ეპიზოდი (8,3—11): ხალხი მეძავს რომ მისევია ჩასაქოლად და მაცხოვარი შეაჩერებთ — ვინც უცოდველია თქვენს შორის, პირველად იმან დაჰკრას ქვაო; და ყველა, როგორც ერთი, ქვას ხელიდან გააგდებს. იგრძნეს: ცოდვილი ხელებით სხვისი განსჯის უფლება არა გვაქვსო.. ყოველ მათგანში პიროვნებამ გაიღვიძა და მიხვდნენ, რა სისასტიკის ჩადენასაც აპირებდნენ. რაც მანამ მართებულად მიაჩნდათ, ახლა შემზარავი გამოჩნდა.

საგულისხმოა, რომ ამ ეპიზოდის გახსენებით კიტა აბაშიძე თვალსაჩინოდ გამოჰკვეთს განსხვავებას მაშინდელსა და თანადროულ საზოგადოებრივ მორალს შორის: ქრისტესთან სამაცდუროდ მისული ფარისევლთა გუნდი უფრო სინდისიერი გამოდგა, ვიდრე დღევანდელი არანაკლებ ფარისეველი საზოგადოებაო, მათგან ვერცერთმა ვერ გაბედა ქვის სროლა დედაკაცისათვის, დღევანდელი საზოგადოების წევრი კი თავის დამნაშავე მოძმეს ქვასაც არ აკმარებსო.

აუცილებელი სულაც არ არის, საზოგადოებამ უშუალოდ გაისვაროს ხელი სისხლში: მისი სრული გულგრილობა ადამიანის ბედისადმი და მერე ასევე უდრტვინველი ცქერა, თუ რა მკაცრად სჯის მართლმსაჯულება ამა თუ იმ პიროვნებას დანაშაულისათვის, ჰუმანური აზრით, მაინც ცოდვაა მის წინაშე, მაინც სისხლში ხელის ამოვლებაა.

და ასეთნაირად დაღვრილი სისხლი ძალაუნებურად იწვევს დასჯილის ახლობელთა გაბოროტებასა და მათ თავზეხელაღებულ დაპირისპირებას საზოგადოებასთან.

ისინი უკვე მოვალედ თვლიან თავს შური იძიონ, თითქოს კერძო პიროვნებისაგან ეძებდნენ სისხლს.

ასე ჩამოყალიბდა შურისმგებლად ილია ჭავჭავაძის მოთხრობის („სარჩობელაზედ“) გმირიც, უსახელო ჭაბუკი. წიგნი გეტყვის ჩემს სახელსო, — ეუბნება ჭაბუკი მოხუც პეტრეს და წიგნიდან (წერილიდან) ამოკითხული მისი სახელია შურისმაძიებელი, სიძულვილითა და სამაგიეროდ გადახდის სურვილით ანთებული.

ეს უსახელობა შემთხვევითი კი არ არის, მოთხრობის კონცეფციის არსებითი ნაწილია — ამით კიდევ უფრო გამოკვეთილია ჭაბუკისა და უამრავ მისნაირთა ბედის გარდუვალობა.

„არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიდებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით“ — ამ მძულვარების რამდენჯერმე დაბეჯითებით განმეორება რა გასაკვირია უმძიმესი შთაბეჭდილებისაგან გათანგული პიროვნების მიერ: უცქერდა, როგორ ჩამოუხრჩეს ერთადერთი ძმა, მაგრამ დამაფიქრებელია, რომ ამ სიძულვილის გამოთქმისთანავე მის გონებაში ჩნდება ღვთის სახელი, მისი სამართლიანობის რწმენა: „...როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გამრუდდება“; ანდა — „განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ თუ მტყუანი, — არ ვიცი“.

უცნაურია: ღვთისაგან განკითხვასა და გამართლებას მოელიან და მისი ერთ-ერთი მთავარი ცნება — გიყვარდეს მტერი შენიო (არამცთუ მოყვასი და არამცთუ მთელი საზოგადოება) — ასეთი გამეტებითაა თავდაყირა დაყენებული. ეს რომ მარტოოდენ გმირის მღელვარებას გამოეწვიოს, საკმაოდ იოლი ასახსნელი იქნებოდა: ჭაბუკი მხოლოდ ზედაპირულად იცნობს ქრისტეს მოძღვრებას და დარდისაგან გულამღვრეულს დარდი ვერ მოუთოკავს, რათა განჩინება იმთავითვე ღვთისათვის მიენდოო.

მაგრამ ეს რომ მარტო ჭაბუკის განცდები არ არის და მის მიღმა მწერლის დიდი თანაგრძნობა იკითხება თავისი ტანჯული გმირისადმი?!

გულის სიმართლე, რის იმედადაც მინდობია ჭაბუკი ღმერთს, სწორედ მწერლის ფარული თანაგრძნობითაა დადასტურებული.

თანაც: დადასტურებული არა შორიდან მხილველის მიერ, არამედ ისე, თითქოს ილიაც მოთხრობაში დატრიალებული ამბის მონაწილე იყოს.

ეს თუნდ ბოლო ფრაზაშიც მკაფიოდ იგრძნობა: „მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“ — რომლის ქვეტექსტიც იოლად გაუხსნიათ: ჩვენ ყველანი შუაში ვართ, ჩვენ ყველას გვაწევს ცოდვა გზააბნეულ მოყვასთა წინაშე. სხვაგვარად როგორ იქნება, როცა თვით პეტრეც კი დამნაშავეა: ალალი და კეთილი პიროვნება, ყველას ხელისგამმართავი, ერთადერთი, ვისმა გულკეთილობამაც უცნობ ჭაბუკს ტკბილი ნაღველი ჩაუსახლა გულში და თვით ამ ჭაბუკისათვის უმძიმეს ჟამსაც კი ჯერაც გულში უღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ის პეტრე, ვისაც თავისი წრფელი ბუნების გამო ვერაფრისდიდებით ვერ დაუჯერებია, რომ სახრჩობელაზე ნამდვილად ადამიანი აიყვანეს; და თუ მართლა ადამიანია და არა თოჯინას გადააცვეს ტომარა (როგორც პეტრეს სურს ირწმუნოს), მაშ ხალხს რატომ არ დასტყობია სიკვდილის სანახაობისაგან მოგვრილი ძრწოლა და წუხილი? — „ეს ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიაყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები, ერთს ცვარს ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს, ღვთისკერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი“.

ვაჟასაც ასევე უმღვრევდა გულს ერთმანეთში გადახლართული გულგრილობა და ველური აღტკინება, სისხლის წყურვილი სიკვდილმისჯილის დანახვისას, ნაცვლად ძრწოლისა და თანაგრძნობისა („სიკვდილი ყვე-ლას. გვაშ[illegible] თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან, კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა, როგორ დიდს ცოდვას სჩადიან“).

და თუკი ისეთი კაციც დამნაშავეა, ვინც გაოგნებული შეჰყურებს სისხლიან ორგიას, რა უნდა ითქვას სეირის საცქერად შეყრილ ხალხზე, ადამიანის ჩამოხრჩობისთანავე რომ მხიარულად ყაყანებს და ლაზღანდარობს და — პეტრეს გულისწყრომისა არ იყოს — შინისაკენ სავსებით კმაყოფილებს გაუწევიათ.

ეს მხიარულება და ლაზღანდარობა ექსპრესიულად გამოჰკვეთს ვითომდა დაფარულ მოვლენას — სრულ გულგრილობას ადამიანის ბედისადმი, რასაც ერთი პერსონაჟი უკვე ემსხვერპლა და მეორეც მის გზაზეა.. თუმც მოთხრობაში საგრძნობია სოციალური უკუღმართობა, უფრო მთავარია ზნეობრივი მხარე მოვლენისა — საზოგადოების წამხდარი მორალი. ამიტომ არ არის ეს ჭაბუკის ავადმყოფური წარმოსახვა, როცა ქვეყანას სდებს ბრალს, შემთხვევით არ აიგივებს მამინაცვლის ავკაცობას ყველას ბოროტებასთან („ყველა ხედავდა — რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო“)...

ეს მსჯავრი ის ზნეობრივი ფონია, რაც მართალია, სრულებით არ ჩქმალავს პიროვნების შინაგანი პასუხისმგებლობის აუცილებლობას, მაგრამ უკვე ისე ძალიან უცნაურიც აღარ გვეჩვენება ჭაბუკისაგან იმის რწმენა, რომ ღმერთი გაამართლებს საზოგადოების წინააღმდეგ მის ასეთ ამბოხს.

აქ დარღვეული ჩანს წონასწორობა პიროვნების პასუხისმგებლობასა და საზოგადოებრივ მორალს შორის: მოთხრობის კონცეფციით, უპირატესობა პიროვნებას, მის მოთხოვნებს ენიჭება. ამით ის აზრია გამოთქმული, რომ მიუხედავად წონასწორობის დაცვის აუცილებლობისა, ამ ორ მხარეთაგან თუ რომელიმე სულ ოდნავ, ერთ ბეწოთი მაინც უფრო ცოდვილია, ეს საზოგადოებაა და არა პიროვნება. ბოლოსდაბოლოს მათი შეურიგებელი ჭიდილისას პიროვნება ყოველთვის განწირულია — მოკლული ა[…] მოკვეთილი — და განწირულმა კი შეუძლებელია თანაგრძნობა არ აღძრას... მითუმეტეს, თუ სიკეთესთან ზიარების, ღმერთისაკენ სწრაფვის სურვილი ძალით ჩაუკლეს.

სხვაგვარადაც შევხედოთ: საზოგადოებრივი მორალი თუ არ წამხდარა, ცხადია, ადამიანის სიკვდილით დასჯა ლაზღანდარობისა და მხიარულების გუნებაზე ვერ დააყენებს ხალხს, მაგრამ ისიც ხომ შეუძლებელია, რომ ვინმე უსამართლოდ ა[…] დაიჩაგროს და სულიერად ა[…] განადგურდეს. ეს ვერცერთ საზოგადოებას ვერ აურიდები[…] ყოველი კერძო კრებული ხალხისა კაცობრიობის ნაწილია და საერთო წესიდან ვერ ამოვარდება, ადამიანურობის საზღვრებს ვერ გადასცილდება, და საბამშივე მის მიერვე არჩეულ გზას თავს ველარ დააღწევს.

ისიც სავსებით ნიშანდობლივია, დაცემული ზნეობის პირობებში თუ ვინმეს მოეკითხება პასუხი, მაინცდამაინც ყველაზე წესიერსა და პატიოსანს, უკ[…]

ლაზე წრფელსა და ალალს. ამ კანონზომიერების (რა ვუყოთ, ასეა) მიხედვით გამოირჩა ბრბოსაგან პეტრე და არა შემთხვევით: ის გარემოება, რომ ჰაბუკი მხოლოდ პეტრეს იცნობს, სწორედ ამ ფარულ კანონზომიერებას ეყრდნობა.

პეტრე თვითონვეა მოწყვეტილი იმ საერთო ცნობიერებას და სხვათა გულგრილობა და სისასტიკე ამიტომაც უნდა ზლოს წრფელმა გულმა.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაშიც („ეშმაკის ქვა") ამ კანონზომიერების ტრაგიზმი თვალსაჩინოვდება: გულჩვილი და მგრძნობიარე სოფიო, ვისაც მთელი სოფელი ანგელოზად იხსენიებს, უნებლიედ აღმოჩნდება მკვლელის ჩამქოლავთა შორის და, სხვათაგან განსხვავებით, მხოლოდ ის ვერ გადაიტანს ამ შემთხვევის სიმძიმეს: ლოგინად ჩავარდება და ერთ კვირაში ხელიდან გამოეცლებათ.

ეს საბედისწერო სულიერი ჰიდილი იმან გამოიწვია, რომ გოგონამ ვერ დაიცვა ცოდვილნი, რადგან თვითონვეა დასაცავი. მისმა სიკეთით აღსავსე, ოღონდ უმწეო არსებამ იმხელა სიმტკიცე ვერ გამოიჩინა, რომ აბობოქრებულ სოფელს გადაღობებოდა. ეს ზოსიმე ბერს შეუძლია (თამაზ ბიბილური, „ქამი კითხულისა") და ისიც გაუცნობიერებლად მოქმედებს. ასეთ დროს გონების კარნახს ყოველთვის რაღაც იდუმალი ძალა სჭარბობს და ზოსიმეც ერთბაშად რომ გამოერკვევა, ხედავს, რომ სოფლის კითხულსა და თავის მეგობარს — გიორგი ბალიაურს — გადაფარებია, მის წინ კი დგას ქვებმომარჯვებული, თიხასავით აზელილი, გახვითქული და დაბნეული სოფელი.

მას მერე, რაც შურისძიების ვნებით ანთებულმა და სატანური ძალის მიერ წაქეზებულმა (ეს მოტივი თვალსაჩინოა) სოფელმა კითხულის ჩაქოლვა გადაწყვიტა იმ დაშინებისა და დათრგუნვისათვის, რასაც გიორგი ბალიაურისაგან განიცდიდა წლების მანძილზე, მისი შეკავება მხოლოდ ასეთ მოულოდნელსა და თავგანწირულ საქციელს თუ შეეძლო.

და ადამიანები კიდეც დაყრიან ქვებს ერთმანეთის მიყოლებით.

ის წამები — ქვების მომარჯვებიდან მის დაყრამდე — თითქოს გაყინულ დროშია წარმოსახული, რათა ხელშესახები გახდეს გაშმაგების უკიდურესი სიმძაფრე და ბერის არსებაში მობორიალე განცდების იდუმალი სათავეც.

რომანში ანალიტიკურადაა განსჯილი, თუ რატომ გადაიფიქრა სოფელმა კითხულის ჩაქოლვა, რატომ დაეხსნა დაამსხვრევად ჩამოხსნილ კერპს, ვისი აღარც სიყვარული ჰქონდა და აღარც შიში... არადა, ისე მრისხანებდა კითხულის კოშკთან თავმოყრილი ხალხი, აშკარა იყო, შებრალების, მიტევების ყოველგვარი ნატამალი სადღაც სიღრმეში ჩაეძირა და ამიტომაც იმზირებოდა უაზრო, უტყვი, სიცარიელეში გაყინული თვალებით...

ნუთუ ჩემმა თავგანწირულმა [illegible]ვალის გასწორებამ დააბნია და [illegible]შინა ეჭვიანი და მალემრწ[illegible]ენი, ერთფეროვნად კეთილისა და [illegible]რთფეროვნად ბოროტის მტვირთველი სოფელიო — ეს ფიქრი [illegible]დხანს აწვალებს ზოსიმეს, [illegible]ღითაც და ღამითაც, მონასტრის ცივ თაღებქვეშაც და [illegible]ცხოვრის ხატის წინაშეც ...

[illegible] თანდათან მკაფიოდ ცნაუ[illegible]დება მისთვის, რომ სოფელს [illegible] შიში ვერ შეაკრთობდა, რადგანაც ზოსიმესი არავის [illegible]ხოდეს შინებია, ამიტომ ნამდვილი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ: „მაშინ ალბათ მე და ჩემი მეგობარიც სოფელი ვიყავით და სოფელს საკუთარი თავისა შეეშინდა".

ფიქრშიც ყველაფერი კიდევ ერთი მოულოდნელი კუთხით შემობრუნდა და ერთმანეთის პირისპირ მდგარი პიროვნებისა და ქვებმომარჯვებული სოფლის ათასწახნაგა სურათს თავისებური ნიუანსი მიემატა — მსხვერპლი სარკესავით აირეკლავს სოფლის სახეს, მის შემზარავ, ბოროტისმტვირთველ მხარეს.

კვლავ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის ფინალს დავუბრუნდეთ: სოფიო ლოგინად რომ ჩავარდება და მალე ხელიდან გამოეცლებათ.

მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ცოდვილი უკვე ჩაქოლილი იყო, როცა თვითონაც დააგდო ზედ ქვა; არც იმას, რომ ქვა ძალით შეაჩეჩეს ხელში. თუმც მწარედ მოსთქვამს და თითქოს თავს იმართლებს — „მე... მე არ მინდოდა ... ის დედაკაცი ... იმ დედაკაცმა... შემაცდინა... ერთი ქვა ვესროლე ... მხოლოდ ერთი... ისიც ეშმაკმა მასროლინა... მე არ მისროლია, არა.: არა!.." — მაგრამ გრძნობს, რომ იმ საბედისწერო წამს ხალხში აითქვიფა, საერთო ცნობიერებით განიმსჭვალა, რაღაც უხილავს და იდუმალ ძალას დაემორჩილა და საკუთარი პიროვნება დაკარგა. ამდენად: ისევეა მკვლელობის უშუალო მონაწილე, როგორც ისინი, რომელთა დაკრულმა ქვებმაც ბოლო მოუღო დათას. ხოლო რადგანაც სოფიოს მონაწილეობა სისასტიკეში უნებლიეა, ერთბაშად ამიტომაც გამოერკვევა და საერთო ცნობიერებას მოწყვეტილი ვეღარც თავის შინაგან ბუნებას უბრუნდება.

იმ საბედისწერო ქვის მოხსენიება „ეშმაკის ქვად" და კეთილშობილი სულის ასეთი უღვთო აღსასრული თავისთავად ღაღადებს ლინჩის წესით გასამართლებისა და დასჯის არაჰუმანურობაზე, აშკარა ძალადობაზე ღვთის უფლებათა მისატაცებლად; და, რაც მთავარია, ასეთ ფსიქოლოგიურ გარემოცვაში სიწრფელისა და უმანკოების არსებობის მეტისმეტ გაძნელებაზე, თუ ყოველთვის მთლად მოსპობაზე არა.

როცა რამდენიმე წამქეზებელი მონდომებით ურბენს გარს თანასოფლელთ და საერთო ცნობიერებიდან ვინმეს გამოცალკევებას ღალატის ტოლფასად თვლიან („დედას ვუტირებთ, ვინც უკან დაიწევს და ხალხს უღალატებს! დედას ვუტირებთ!"), რათა გადამწყვეტ ჟამს სისუსტე არავის მოერიოს და დათას ჩაქოლვა მკვლელობად კი არა, სოფლის მსჯავრად წარმოსდგეს, თურმე იმავდროულად, ისე, რომ თვითონ არც უფიქრდებიან — უცოდველ ასულსაც არინდობენ: ცოდვამ ცოდვა მოიყოლია... სხვაგვარად არც იქნებოდა: არავის შეუჩერებია ჩასაქოლად აღმართული ხელები, თქვენ თვითონ თუ ხართ უცოდველნი, სხვას რომ განიკითხავთო, არავის გულში გაღვიძებულა სახარების იგავი და არც მტკიცე წინააღმდეგობა გაუწევია სოფლის საერთო აზრისათვის, ხოლო ულონო წინააღმდეგობა თვითვე აღმოჩნდა ჩათრეული სამსჯავროში.

ეს კი: „ეშმაკის ქვა" გაცილებით უფრო რთულსა და ღრმა ფსიქოლოგიურ გარემოს წარმოსახავს, მკაცრ რეალისტურ სურათს, უკიდურესობამდე გამძაფრებულს: სისასტიკე, რასაც სოფელი იჩენს, გამოწვეულია არა იმდენად დათას მანამდელი ცოდვებით (ქურდობა, ყაჩაღობა, უმწეო ქვრივის მკვლელობა...), არამედ მისი ღაუსჯელობით (მართლმსაჯულება, დაიჭერს თუ არა, მალევე ათავისუფლებს) და, რაც მთავარია, ბოლო საქციელითაც: მონანიების არავითარ წადილს რომ არ ამჟღავნებს; ის კი არა, თუ კიდევ გაუსხლტათ, მოსალოდნელია გულში დაგუბებულმა ბოღმამ მწარედ ამოხეთქოს და სოფელს სამაგიერო გადაუხადოს...

განა ის ცოდვები მის ბიძაშვილსაც ასევე არ აწევს? თუმც უნებისყოფო სოლო დათამ აიყოლია, მაგრამ განა ერთად არ ყაჩაღობენ? და ქვრივის ის მკვლელობაც ერთად არ ჩაიდინეს?..

მაგრამ სოლოსადმი სოფელი გულმოწყალებას იჩენს და პატიობს.

რატომ?

როცა ქვრივის ცხედარს გამოასვენებენ, სოლოს ცახცახი აიტანს, ტუჩები აუკანკალდება, ტანში მოიშლება, მუხლს მოიდრეკს, ცხედარს გულზე დაეცემა და ქვითინით ამოიკვნესებს, „ვაი, დედილო-ო-ო!" — და სოფელი იგრძნობს, სოლოს გულამომჯდარი ქვითინი თვალთმაქცობა კი არ არის, არამედ გულწრფელი მონანიება და თანაგრძნობითაც ამიტომ განიმსჭვალება. ყველაფერი თავისთავად ხდება. სოფელი მის სულიერ გვემას საკმარის სასჯელად მიიჩნევს და გასამართლებას გადაიფიქრებს: „მეორედ აღარ გაჰბედო, თორემ ხომ იცი..." — ამას ტკბილი ხმით ეტყვიან, მუქარით კი არა, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ სოლო უკვე დანაშაულის ჩამდენი აღარ არის... და თოკებშეხსნილი სოლო ხალხში ჩაიკარგება.

ხოლო დათა, ქვრივის ცხედარს ზედაც რომ არ დახედავს, კვლავაც სახიფათოა და ეს ყველასათვის ნათელია: „ხალხო! ეს მგელი რომ ცოცხალი გავუშვათ, მთელ სოფელს აიკლებს... მთავრობას რომ გადასცეთ, ისევ გამოუშვებენ და უარეს დღეს დაგვაყრის... ჩვენვე უნდა გავუსწორდეთ, ჩვენვე!"

უნდა ვაღიაროთ, რომ სოფლის ბობოქრობა იძულებითია: უსამართლობა და განუკითხაობა უბიძგებთ ჩაქოლვისაკენ, მაგრამ ეს მათ თვალში უკვე რიტუალის აღსრულებაა, ოდესღაც არსებული ადათის ხორცშესხმა, როგორც უმაღლესი სამართლიანობის გამოვლენა.

და მაინც: შინაგანად რაღაც აბრკოლებთ, მთლად ხელაღებით ვერ განსჯიან.

ხალხის ერთიანი ცნობიერება, მათი იძულება სამსჯავროს აღსასრულებლად მიხეილ ჯავახიშვილს, ანალიტიკური სიღრმით აქვს დაშლილი და ფსიქოლოგიური ნიუანსობრიობით გააზრებული.

ეს არ არის იმგვარი საზოგადოება, ილიას მოთხრობამ რომ წარმოგვისახა.

არც იმგვარი: გიორგი ლეონიძის „მარიტადან" რომ გვახსოვს.

გულგრილობისა თუ ულმობელობის ნაცვლად აქ თანაგრძნობა ღვივის.

ეს უთუოდ იმიტომ, რომ დათას უცხოდ კი არ აღიქვამენ, მაინც თავისიანად თვლიან.

ამიტომ ჯერ მხოლოდ აქეზებენ და ამხნევებენ ერთმანეთს და უცდიან, პირველი ვინ დაიწყებს, პირველ ქვას რომელი დაჰკრავსო.

ფსიქოლოგიური გარემო უაღრესად იმუხტება და იყინება, ვიდრე თვითონ დათა არ გამოიწვევს ხალხს: გაქცევას შეეცდება, კიდეც გაარღვევს გარშემორტყმულთ და კიდეც დაუდგება აღსასრული.

ხოლო რადგანაც ხალხში აშკარად ღვიოდა თანაგრძნობა, შეუძლებელია მხიარული ლაზღანდარობით დაბრუნებოდნენ ოჯახს. და მათი გამობრუნება სისხლიანი სამსჯავროდან ზუსტად შეეფერება მათ სულიერ განწყობილებას: ხმას არავინ იღებს, ყველა ქურდივით მიიპარება, სხვადასხვა მხარეს იფანტებიან და ისე გარბიან, თითქოს უკან ვინმე მისდევდეთ, ერთმანეთს თვალს არიდებენ, რადგან სცხვენიათ (ეს განცდა მოვიანებით ბესიკ ხარანაულის პოემაშიც, „მიკარნახე, ანგელინა", გაიელვებს: „განა მართალი სახითა და ამაყი ნაბიჯებით ბრუნდებიან შინ ჩამქოლავნი? მათ ხომ მართალი მოიმოქმედეს! მაშ რაღა უშლით, რომ მტკიცე ნაბიჯი ჰქონდეთ?").

მასობრივმა ფსიქოზმა გაიარა და ყოველ მათგანში უკვე პიროვნებაა გაღვიძებული.

მრავალმხრივ დამაფიქრებელი სურათია წარმოსახული და მით უფრო მწვავედ შეიგრძნობა ყოფის ტრაგიზმი.

რა ქნას საზოგადოებამ: დამცველი არა ჰყავს, თუ თვითონვე არ დაიცვა თავი, სამართალს არავინ უწესებთ, თუ თვითონვე არ დააწესეს და დაუნდობელი ძალა თვითვე არ დათრგუნეს — ულმობელობას ულმობელობითვე არ მიაგეს.

მაგრამ დათრგუნვაც, მოსპობაც, ულმობელი სამაგიეროც რომ არ ყოფილა სიკეთის მომტანი? ცოდვა ცოდვას რომ შობს და ამრავლებს?! მდაბალი ვნებები რომ შმაგდება და საკუთარი თავის დამკარგავი პიროვნება ფსიქოზურ განწყობილებას რომ ემორჩილება?!

ამას სოფელიც გრძნობს და მწერლის მსჯავრიც ესაა — ის ქვები ეშმაკის ქვებია...

მაგრამ ამას მერე ხვდებიან, როცა განჩინება აღსრულდება.

რეალობა გაცილებით თავზარდამცემია, ვიდრე წარმოსახვა. და, რა გასაკვირია, რომ შურისძიების ჟინის დაშოშმინება ერთბაშად იწვევს სირცხვილის განცდას.

როცა ერთ ალჟირელ მკვლელსაც — ვინც, სისხლის წყურვილით გაბრუებულმა ფერმერთა მთელი ოჯახი ამოჟლიტა, ბავშვებმაც კი — სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს (ალბერ კამიუ, „ფიქრები გილიოტინაზე"), უმრავლესობის აზრით, ასეთი ურჩხულისათვის თავის მოკვეთა მეტისმეტად ლმობიერი სასჯელიც კი იქნებოდა... დიდძალი ხალხი დასწრებია მისი სიკვდილით დასჯას გილიოტინით, და ამ წუთებში ისინიც სისხლიანი რიტუალის მონაწილენი იყვნენ... მაგრამ განაჩენის აღსრულებისთანავე ისინიც [illegible]ველ გრძნობენ შეუ[illegible], როგორც სხვა ამგვარი შემთხვევებისას ხდება. ალბერ კამიუს მამაც სხვებივით გაოგნებული დაბრუნებულა შინ, ფერწასულს ხმა არ ამოუღია, ლოგინზე დაშვებულა და უცებ ღებინება ასტეხია. „ეს წუთი იყო, მან ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით შენიღბული სინამდვილე აღმოაჩინა, — ასე ხსნის მამის საქციელს მწერალი, — ნაცვლად იმისა, რომ მოკლულ ბავშვებზე ეფიქრა, მისი ფიქრი ვერ წყდებოდა იმ აკანკალებულ სხეულს, ფიცარზე კისრის მოსაჭრელად რომ დააგდეს".

ხომ გახსოვთ, რას ევედრებოდა ვიქტორ ჰიუგო კუნძულ ჟერნსეის მკვიდრთ: საშინელება დანაშაულისა მოითხოვს, რომ დამნაშავე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინანიებდეს თავის ცოდვებს, შორს წარსულის ბარბაროსობის მოჩვენებანი, ადამიანის უფლებით ნუ შელახავთ ღმერთის უფლებასო...

მართლაც, რამდენი ადამიანის სულში გაუღვიძია წრფელი მონანიების წადილს.

თუნდ: გიორგი ბალიაური რომ ჩაექოლათ, იგი ვეღარასოდეს მიწვდებოდა სიცოცხლის აზრს, რამაც ცოდვების გამოსყიდვა და ადამიანური ცხოვრება მოანდომა. ყარიბობის შორეულ გზებზე შემდგარი ამიტომაც მოუხმობს ზოსიმე ბერს, ვინც სიკეთის განსახიერებად ეგულება. „მიშველე!" — ამ ერთადერთი სიტყვის სიწრფელეშია მოქცეული მონანიების ულრმესი ექსტაზი.

და იქნებ დათასთვისაც ედროვებინათ: ერთხანს კი ადროვეს, მაგრამ რაც იმ წამს ვერ შეძლო, იქნებ მერე ეპოვა საკუთარ თავში ადამიანურობის ის ნაპერწკალი, მონანიებას რომ მოანდომებდა...

მაგრამ სოფელსაც რომ არა სჯერა მისი სასიკეთო ფერისცვალებისა?! რომ ვეღარ ენდობა?! შურისგებას რომ უფრთხის? ეშმაკის მოვლენილად რომ მიაჩნია თავისი გზააბნეული შვილი!

და ეშმაკის მოვლენილს ეშმაკის ქვებიც დაიტანს...

და მაინც: უმანკო სოფიო აკი სოფლის მრისხანებას ემსხვერპლა...

ეს ის ფარული განგაშია, რაც ყოველთვის მოგაგონებს, რომ არ შეიძლება ადამიანის უფლებით ღმერთის უფლება შელახო...

არადა, სხვა გზასაც ვერ ვხედავ.

მოვლენები სასტიკი გარდუვალობით ეხლება ერთმანეთს და წინააღმდეგობიდან თავის დაღწევა ლამის შეუძლებელი შექმნილა.





## რუსლან მიქაბერიძე

### ქართველო, ხელი ხმალს იკარ!

კაცო, შე ორკუჭიანო,
რამ გაგიცივა ჯიგარი,
შეგირცხვეს პირი მსუნაგი,
ნაჭამ-ნაღვინის-ჭიქარი.
შენც ხომ გეხება სამშობლო,
რა ცოდვის კითხვაც შიგ არი,
არ კმარა სიტყვა მამულზე
სუფრასთან ნაჭიკჭიკარი.
იქ შენს მაგივრად სხვა მოკვდა,
სხვა შენს მაგივრად იქ არი,
და ხელი, ხმალზე თუ არა
ჯიბეზე მაინც იკარი.

### სიყვარული და პოლიტიკა

„სიყვარული ტანჯვა არის,
არა სრული ნეტარება,
მაგრამ მაინც ყველას გული
ამ სატანჯველს ეტანება"
სატრფიალო შაირი

ნუ გგონიათ, პოლიტიკა
სიყვარულს არ ედარება,
პოლიტიკაც ტანჯვა არის,
არა სრული ნეტარება,
ჭკვიანი და იდიოტი
ყველა ამ დარგს ეტანება,
თორემ აბა ამდენ „იმას"
რა ეპარლამენტარება.

# »როცა ზარბაზნები ქუხს«

## მწერალთა კავშირის საერთო კრებიდან

25 მარტს ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში შედგა მწერალთა კავშირის საერთო კრება. კავშირის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბატონი გურამ ფანჯიკიძე. კავშირის ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებულ მრავლისმომცველ და სერიოზულ სამუშაოთა მიუხედავად, თვალნათლივ გამოჩნდა რა მძიმე პრობლემების წინაშე დგას ქართული მწერლობა და საერთოდ, ლიტერატურული საქმიანობა. აღინიშნა, რომ უჭირთ გამომცემლობებს, რედაქციებს, თითქმის შეუძლებელი გახდა ქართველ მწერალთა წიგნების გამოცემა.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალთა კავშირი ფინანსურ დახმარებას უწევს, მძიმე მდგომარეობაშია ჟურნალი „საუნჯე". უჭირს ერთადერთ რუსულენოვან ლიტერატურულ ჟურნალ „литературная грузия"-ს მწერალთა კავშირის უშუალო დახმარებით დახურვას გადაურჩნენ „მნათობი" და „ცისკარი". კატასტროფულად დაეცა მათი ტირაჟი. სათანადოდ ვერ ასრულებენ დაკვეთებს სტამბები და ა.შ.

— „როცა ზარბაზნები ქუხს, მუზები სდუმან", მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შემოქმედი აღარ ქმნის, ან მუზები ძუნწობენ. სოციალური კრიზისის პირობებში ეცემა ინტერესი სულიერი და კულტურული ღირებულებისადმი", — თქვა ბატონმა შოთა ნიშნიანიძემ. შეკრებაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მწერლისა და ჩვენი უმძიმესი პოლიტიკური ვითარების ურთიერთმიმართების საკითხიც წამოიჭრა. ბატონმა რეზო მიშველაძემ აღნიშნა, რომ ორად გახლეჩილი ქვეყნის გაერთიანებას სწორედ მწერლები უნდა უწყობდნენ ხელს და ამდენად, უფრო სამწუხაროა, რომ თავად მწერლებიც ორ ბანაკად არიან გაყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ მწერლებს უკვე ველარავინ გააერთიანებს ერთი პოლიტიკური იდეოლოგიის ქვეშ, უმჯობესი იქნებოდა, საერთო სატკივრისათვის ერთად მიგვეხედაო.

დამთავრდა ის დრო, როდესაც მწერალი ხარკს უხდიდა გარკვეულ პოლიტიკურ იდეოლოგიას. დასრულდა ქართული კოლონიური ლიტერატურის ისტორია: ქართველი მწერალი თავისუფალია გარეშე დაწოლისაგან. და იწყება მძიმე, მაგრამ ახალი პერიოდი ლიტერატურული მოღვაწეობისა. სწორედ ასეთი განწყობა იგრძნობოდა მწერალთა კავშირის საერთო კრებაზე.

ვ.ქ.


# რეკლამა

საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის ფონდი

IBERPOL

THE FUND OF GEORGIAN REPUBLIC POLICE

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 21 იანვრის №29 განკარგულებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის ფონდი. ფონდის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული პოლიციის პირადი შემადგენლობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, მის ტექნიკურ აღჭურვას და ფიზიკურ სრულყოფას.

საქართველოს პოლიციის ფონდი შესაბამისი სადაზღვევო-კომერციული სტრუქტურების მეშვეობით ახორციელებს შსს მუშაკთა სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის დაზღვევას იმ პირობით, რომ ხელფასის ერთი პროცენტის დაკავებით დაგროვებული თანხა გარკვეული პერიოდის შემდეგ დაუბრუნდება დაზღვეულს მაღალი საპროცენტო დანამატით. ამავე დროს, ფონდი დახმარებას გაუწევს ყველა ვეტერან თანამშრომელს, ორგანოს მუშაკთა ოჯახის წევრებს კომერციული და საზოგადოებრივი სამსახურების სტრუქტურების შექმნაში; ხელს შეუწყობს სხვა სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებთან კონტაქტების დამყარებას.

ფონდში ნებაყოფლობით საწყისებზე ერთიანდებიან საწარმოები და დაწესებულებანი, ორგანიზაციები, სოციალური ჯგუფები და ცალკეული პირები.

ფონდს გააჩნია სავაჭრო სახლი, მუდმივი კონტაქტები აქვს თანამეგრობაში შემავალი და ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებთან.

პარტნიორობისათვის ვიწვევთ ყველას, ვისაც სურს ქვეყანაში მართლწესრიგის აღდგენა და განმტკიცება, ვისთვისაც სულერთი არ არის საქართველოს პოლიციის ბედი.

მიმართულებები: საინვესტიციო, საკრედიტო-საფინანსო კომპანია, ბანკი, სავაჭრო-საბირჟო სახლი
DIRECTIONS: INVESTMENT-CREDIT-FINANCE COMPANY, BANK, TRADE-EXCHANGE HOUSE

საქართველოს რესპუბლიკა, თბილისი 380054, წერეთლის გამზ., 56
ტელ.: 35 39 13, 99 57 36, 35 26 38, დირექცია: 93 25 94, ფაქსი: (8832) 998675
ს/ს 000701301, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო, მფო 521006

56, Av., TSERETELI, 380054 TBILISI, REPUBLIC OF GEORGIA
Tel: 35 39 13, 99 57 36, 35 26 38, Tel. board of Directors: 93 25 94, Fax: (8832) 998675
000701301 OPERATIVE DEPARTMENT OF GEORGIAN NATIONAL BANK, MFO 521006


გამომცემლობა „სამშობლოს" თანამშრომელს ქალბატონ ციცო ჯიშკარიანს ვულოცავთ დაბადების დღეს.

საქართველოს სახალხო ფრონტი თანაგრძნობას უცხადებს ხარაგაულის სახალხო ფრონტის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს იური ლურსმანაშვილს მამის, ნოდარ ლურსმანაშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს სერგო ჯანაშიას გამზრდელი ბიძის — კოლია აკობიას გარდაცვალების გამო.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჭიაშვილი
კობა ლიკლიკაძე
მიხო მოსულიშვილი
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 15 მან.

ავტორებს ვთხოვთ ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის მასალას ნუ შემოგვთავაზებენ.